ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ГАЗЕТИ ВЫХОДИТ С 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (18250) | სამშაბათი, 12 იანვარი, 1982 წელი | ფასი 3 კაპ.

სიმაღლეთა ათვისებას — შეუნელებელი ყურადღება

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე დაგვისახა ამოცანა: 1982 წლის გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შესრულდეს. ამ უმთავრესი ფაქტორებიდან, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ამ ამოცანის გადაწყვეტას, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა გეგმით გათვალისწინებულ [illegible]ებში საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების აუცილებლობა აღ[illegible]ნა. ამ საკითხს, ასევე დიდი ყურადღება დაეთმო ამხანაგ [illegible]. შევარდნაძის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრ[illegible]ლური კომიტეტის IV პლენუმზე.

[illegible]ითქვა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკაში სამრეწველო [illegible] წარმოების მოცულობის ზრდა პროექტით გათვალისწინებუ[illegible]ი იყო 31 პროცენტის დონეზე, სკკპ XXVI ყრილობაზე დამტკიცე[illegible]ული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად კი დასახულია [illegible]0-33 პროცენტი. ეკონომიკის დარგში ჩვენი მთავარი სტრატეგიუ[illegible]ი მიზნის მისაღწევად, იხეკი როგორც წინა ხუთწლედში, უალრე[illegible]ად საჭიროა დავადგეთ ამ ციფრებისაგან უმაღლესის — უთუოდ [illegible]3 პროცენტით მატების მიღწევის კურსს.

საპრეწველო წარმოების ზრდის სწრაფი ტემპის შენარჩუნება [illegible]ესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ მრეწველობის მეტ [illegible]ნილ დარგებში საწარმოო სიმძლავრენი, ავამაღლოთ ეფექტიანობა. [illegible] რესპუბლიკაში ახლა არის ფაბრიკები, ქარხნები, კომბინატები, [illegible]ერთიანებები, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობენ. ისი[illegible]ი მაქსიმალურად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, სისტემატუ[illegible]ად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას თითოეული კვადრატული [illegible]ეტრი საწარმოო ფართობიდან, კომპლექსურად წყვეტენ წარმო[illegible]ების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. [illegible]სწორედ საწარმოო სიმძლავრეებს ათვისებისათვის მუდმივმა ზრუ[illegible]ამ განაპირობა მეათე ხუთწლედის მანძილზე, მაგალითად, „საქ[illegible]ამოქმედრწყის" გაერთიანების, ფოთის მიდრომექანიზაციის მან[illegible]ნაცისაშენებელი და თბილისის სანსტრუმენტო ქარხნების კოლექ[illegible]ივების წარმატებანი, კარგი შედეგების მიღწევა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზემოხსენებულმა კოლექტივებმა და ზოგი[illegible]რმა სხვა ორგანიზაციამ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელ[illegible]ი მთლიანად გამოიყენეს თავიანთი შესაძლებლობანი და უფრო [illegible]ანამატაციებ მოპოვებული პოზიციები.

[illegible]დაის, ამ მიმართულებით ბევრმა საწარმომ მიაღწია სასურველ [illegible]ედეგებს. სწორედ ეს ასეა, მაგრამ არც ისეთია ცოტა, რომ[illegible]ებთანაც განუყრელი თანამგზავრია სიმძლავრეთა არასრული [illegible]ამოყენება და ათვისება. გაზეთი „კომუნისტი" უკვე იტყობინებო[illegible]და, რომ ორი წლის წინათ შემოწმდა მეათე ხუთწლედის განმავლო[illegible]ბაში საიქსლოატაციოდ გადაცემული და რეკონსტრუირებული [illegible]ათობით საწარმო, რომლებიც უმნიშვნელოვანეს სახე[illegible]ობათა პროდუქციას უშვებენ. კონტროლის ქვეშ რესპუბლიკის [illegible]მრეწველობის ნაწყვანი დარგების თითო-ოროლა საწარმო მაინც [illegible]ოიკვეთა. საწუხაროდ, შემოწმებული ორგანიზაციებიდან ნახევარზე [illegible]ეტრად მეტნი წარმოების მოცულობა საპროექტო სიმძლავრეზე [illegible]ნაზენელოვნად ნაკლები ყოფილა. ზოგიერთი მათგანში სიმძლავ[illegible]რეებს ათვისების ნორმატიული ვადები საერთოდ არ იყო დად[illegible]ენილი.

[illegible]ცხადია, საექსპლოატაციოდ ახლად გადაცემული ან რეკონსტ[illegible]ურირებული ქარხანა, ფაბრიკა თუ კომბინატი მაშინვე ვერ ამუშა[illegible]დება. ეს გათვალისწინებულია და სიმძლავრეებს ასათვისებლად [illegible]ნაკარადღეკი დროის ხანგრძლივობა ითვლება და წლებითაც [illegible]ერძელდება, მაგრამ დასახულ მიზნებს მაინც ვერ ვაღწევთ იმის [illegible]გამო, რომ ბევრი საპრეწველო ობიექტი ვერ ათვისებს საწარმოო [illegible]სიმძლავრეებს დადგენილ ვადებში, ზემდგომი ორგანოები მათ შე[illegible]ცრებულ გეგმებს აძლევენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი მა[illegible]თგანი ამ შემცირებულ დავალებასაც ვერ ერევა, რაც ყოველად [illegible]ეფარგებელია.

[illegible]საწარმონ ჩვენ კონკრეტულად დავასახელეთ ის ორგანიზაციები, [illegible]რომლებსაც საწარმოო სიმძლავრეების ათვისების თვალსაზრისით [illegible]ასახარებელი მდგომარეობა ჰქონდათ. მათ შორის იყო ქუთაისის [illegible]ლითოფონის ქარხანა, სამტრედიისა და რუსთავის ხის დამამუშავე[illegible]ელი კომბინატები, „საქჯელონამანქანის" გაერთიანება და სხვები. [illegible]ვერ ვიტყვით, რომ ზოგიერთი მათგანს ყურად არ ეღოს კრიტიკა [illegible]და არ დაეწყოს ბრძოლა სამნის გამოსასწორებლად, მაგრამ სა[illegible]ერთო მდგომარეობა მაინც ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

[illegible]კვლევნდებურად ცუდად გამოიყურება ამ მრივ, მაგალითად, „საქჯელონამანქანის" საწარმო გაერთიანება, და ეს ითქვა კი[illegible]დეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV [illegible]პლენუმზე. საწარმოო სიმძლავრეებს აქ მხოლოდ 69 პროცენტით [illegible]ოყენებენ, ცვლილების კოეფიციენტი მხოლოდ 1,24-ია, ამის მი[illegible]ზეზი კი წარმოების სუსტი ორგანიზაცია და ჩამორჩენილი ტექ[illegible]ნოლოგია ყოფილა. გაერთიანების ხელმძღვანელობა და პარტორ[illegible]განიზაცია ამ მიმართულებით არავითარ გამიზნულ მუშაობას არ [illegible]ეწევინან, საქმე თვითდინებაზეა მიშვებული.

[illegible]ცნობილია, რომ ნებისმიერი საწარმოს ერთ-ერთი მთავარი ამო[illegible]ცანა ფონდუუნების ზრდა, მა მაჩვენებლებას გადადების გზები [illegible]კი საწარმოო სიმძლავრეებს მაქსიმალურ გამოყენებაში უნდა [illegible]ვიმებთან. გამოანგარიშებულია, რესპუბლიკის მრეწველობასა და [illegible]სოფლის მეურნეობაში წმინდა პროდუქციის მიხედვით ფონდ[illegible]უუნების ხულ ერთი კაპიკი გადადება დაახლოებით 270 მილიონ [illegible]მანეთს დაგვიზოგავდა და უზრუნველყოფდა ეროვნული შემოსა[illegible]ელის ზრდას წელიწადში 110 მილიონი მანეთით. ლაპარაკია მხო[illegible]ოლოდ ერთ კაპიკზე და, აბა, წარმოიდგინეთ როგორ წავიწეწეთ [illegible]წინ, ეს კაპიკი რომ შედარებით მოკლე ხანში გავახამკეცოთ და [illegible]გავაუოკეცოდ!

[illegible]საბუნებრივად, მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის კვეთის, [illegible]მსუბუქი, საშენ მასალათა და მანქანათაშენებელი მრეწველობების [illegible]დარგებისათვის დადგენილი ფონდუუნების უმნიშვნელო ზრდა, [illegible]რაც ვერ უზრუნველყოფს მათი განვითარების ჯეროვან დაჩქარე[illegible]ბას. ყოველივე ეს კი, ალინშა პლენუმზე, დაბეჯითებით გვაკა[illegible]რნებებს მივალეწოთ სამეურნეო მუშაობაში თვისებრივ გარდა[illegible]ტებას.

[illegible]ხხვათა შორის, ჩამოთვლილი მიზეზებიდან, საბოლოოდ, ვერც [illegible]ერთი ვერ უძლებს კრიტიკას. საქმე ის არის, რომ ჩვენ ყოველთვის [illegible]ან გვყოფნის მოკალთობისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, ვერ [illegible]ვიხსნეთ მახალების, ნედლეულის, სათადარიგო ნაწილების, სა[illegible]ობების, ელექტროენერგიის მომპარნედ ხარჯვა, მათი მარაგნაბა[illegible]ტის შექმნა, საკმარისად აკ ვზრუნავთ მუშაობა კვალიფიკაციის ამა[illegible]ღლებისათვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუჯობესებისა[illegible]თვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის.

[illegible]ტატის დასასრულსი აღინიშნა, რომ 1982 წლის გეგმა არა მარტო [illegible]მილიონად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შესრულდეს. ეს ამოცანა [illegible]დაგვისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, პა[illegible]რადად ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. წინასწარი გამოანგარიშებით [illegible]დადგენილა, რომ რესპუბლიკაში არის ყველა შესაძლებლობა, რათა [illegible]წლის გეგმის გადამეტებით 30-90 მილიონი მანეთის პროდუქცია [illegible]გამოვუშვათ. ამაში კი საწარმოო სიმძლავრეების დროული ათვისე[illegible]ბა, მათი მაქსიმალური გამოყენება უნდა დაგეხმაროს. ეს ამოცანა [illegible]ჩვენ უთუოდ უნდა გადავწყვეტოთ და ამით ღირსეულად შეეხვედით [illegible]სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრო[illegible]აგანდისა და განყოფილება, საქართველოს კომპა[illegible]რტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობს საზოგადოებ[illegible]რივ-პოლიტიკურ კითხვას თემაზე „80-იანი წლები: გეგმები [illegible]და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები[illegible]ს და თბილისის საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის [illegible]გამოსვლების შესაბამისად".

მოხსენებას თემაზე **„საბჭოთა საქართველოს მეცნიერე[illegible]ბისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანები"** [illegible]გააკეთებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომა[illegible]რის მოადგილე ამხ. **ო. ვ. ჩერქეზია.**

კითხვა გაიმართება 1982 წლის 13 იანვარს, 17 საათზე, საქა[illegible]რთველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკა[illegible]ური პოლიტგანათლების სახლის სხდომათა დარბაზში (პლე[illegible]ხანოვის პრ. 61).

(საქინფორმი).

დამკვრელური შრომით ვასახელოთ სამშობლო

საქმემ გაამოაჩინა

თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების მეთაური ფაბრიკის მოწინავე ფეიქარმა ახალგაზრდა კომფესტმა თ. მაღრაძემ წარმატებით შეასრულა 1981 წლის გეგმა და 1650 მეტრი მაღალხარისხოვანი ბამბეული მოქსოვა. ახალი წლის პირველი დღეებიდან იგი ყოველდღიურად გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

ს. კილაძის ფოტო.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲓᲘᲜᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲐᲮᲛᲔᲓᲘᲡ ᲫᲘ ᲙᲣᲜᲐᲕᲔᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალე გილოცავთ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს დაბადების სამოცდაათი წლის თავს.

გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო დინმუჰამედ ახმედის ძე, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

დ. ა. კუნაევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ორგანზე სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ დ. ა. კუნაევის ლენინის ორდენითა და მესამე ოქროს medlit „ნამგალი და უროო" დაჯილდოების შესახებ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის სახალხო მეურნეობის, კულტურის განვითარების შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად და მრავალფეროვანია და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მყარი ზრდის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის დარაზმვის საქმეში და დაბადების სამოცდაათი წლის თავთან დაკავშირებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი დინმუჰამედ ახმედის ძე **კუნაევი** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით და მესამე ოქროს medlit „ნამგალი და უროო".**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 11 იანვარი.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ

ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ დასამუშავებელი იარაღების რემონტის ხარისხისათვის უმაღლესი ქულა დაეწერა საქსახოფლტექნიკის წითელწყაროს რაიონული გაერთიანების კოლექტივს — საგანგებულად ტექნიკის ჩინებული მომზადებისათვის რესპუბლიკური შეჯიბრების ინიციატორს. საგარანტიო პასპორტები აქვს აგრეთვე კარტოფილის სარგავების, სათესლის, ჩითილების სარგავი მოწყობილობის, სხვა ტექნიკის დიდ უმრავლესობას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალსაჭიდოობას ამ დიდი გაერთიანების მექანიზატორები აღწევენ იმის შეიარაღებით, რომ იყენებენ ეგრეთ წოდებული გამმოლი რემონტის მეთოდს. ამ მეთოდის არსი ის არის, რომ ყოველი აგრეგატი გრაფიკის მიხედვით გადის აუცილებელ პროფილაქტიკას. ამით ტექნიკა მუდამ გამართულია.

ტექნიკის განახლების პროგრესული მეთოდები ათვისებულია აგრეთვე საქსახოფლტექნიკის მრავალ სხვა გაერთიანებასა და განყოფილებაში, ორგანიზებულია ტრაქტორების მარკების მიხედვით სპეციალური რემონტი. მრავალ ტრაქტორები, მაგალითად, იღებენ საგზურს, აბაშის მინდვრებში, სადაც მოქმედებს სარემონტო საწარმო, რომლის სიმძლავრე 1000 მანქანაა წელიწადში. სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში მალე მწყობრში ჩადგება მეორე საწარმო, რომელიც სპეციალდება „ბელარუსის" მარკის ტრაქტორების მომსახურებაზე.

— განვაგრძობთ სარემონტო სამსახურის სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანება საქსახოფლტექნიკის თავმჯდომარემ დ. სარიშვილმა. — მტკიცდება რაიონული და საერაიონთაშორისო გაერთიანებები და განყოფილებები, იქმნება სპეციალური სამსახურები კოლეგიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სავარგულებზე მექანიზებული სამუშაოების შესრულებისათვის, მეურნეობების აგრონომიული, სატრანსპორტო და სხვა სახეობის მომსახურებისათვის.

გარდა ამისა, იქმნება რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური მომსახურების ხარისხით მართვის ერთიანი სისტემა.

ტექნიკის განახლების პროგრესული მეთოდები ათვისებულია საქსახოფლტექნიკის მრავალ რაიონულ და საერაიონთაშორისო გაერთიანებასა და განყოფილებაში, ისინი დანერგეს აგრეთვე კოლეგიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელსაწყობმა, რომლებიც სპეციალდებიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტზე. რემონტის, ნაკადურმა ტექნოლოგიამ, მაგალითად, უკვე მიაღწია იმას, რომ ახლა რესპუბლიკის მთელი სატრაქტორო პარკის თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი მზად არის მინდვრის სამუშაოებისათვის.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" გეგმით გათვალისწინებული არ იყო საკმაელ მრეწველობისათვის მეტად საჭირო პროდუქციის — პოლისტროლის კოკების გამოშვების გადადება, მაგრამ მომხმარებლები მას გათვალისწინებულზე გაცილებით მეტს მიიღებენ. საწარმოო პროგრამაში არსებითი შესწორებები შეიტანეს თვით მეშვებმა — გაერთიანებული მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის მონაწილეებმა.

წინადადებით მოდერნიზებელმა სამსმელი საამქრომ გამოუშვა ახალი ნიმუშის კოკების ზეგეგმითი პარტია.

მუშათა თათბირის თვალთახედვის არეშია სხვადასხვა საკითხები. მაგალითად, მისი ინიციატივით შემუშავდა ასორტიმენტის გაფართოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადადების კომპლექტური პროგრამა. მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის მონაწილეებმა საფუძვლიანი არგუმენტები მოიყვანეს საკუთარი დამხმარე მეურნეობის გაფართოების სასარგებლოდაც. ახლა აქ სამი მეფრინველეობის ფერმა, ღორების გასაუქმებელი პუნქტია.

მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები რესპუბლიკის საწარმოებში გადაიქცა სამეურნეო საქმიანობაში, წარმოების ხელმძღვანელობაში მშრომელთა ჩაბმის ეფექტურ ფორმად, ისინი ორასი ათას კაცზე მეტს აერთიანებენ. მარტო მეათე ხუთწლედში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების მონაწილეთა წინადადებებისა და რეკომენდაციების დანერგვის შედეგად მიღებულია 60 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი. (საქინფორმი).

საქართველი—ხალხს

თბილისის უქსოვადი ქსოვილების ექსპერიმენტალმა ფაბრიკამ „ლენინამმ" შეიდი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება დაიწყო 1982 წლის პირველი დღეებიდანვე. ეს არის პლედები, გადასაფარებლები.

საწარმოს პროდუქცია ფართოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მრავალი წლის მანძილზე ფაბრიკას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. წარმატება საწარმოს ყველა რგოლს შეთანხმებული მუშაობის, წარმოების მაღალი ტექნიკური აღჭურვის, შრომის ახალი მეთოდების დანერგვის შედეგია.

„ᲐᲠᲜᲐᲚᲘ" ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲒᲐᲛᲐᲢᲝᲜᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲠᲡᲤᲡᲠ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ აღმოსავლეთის მთავარი წყალთა სამმართველოს მექანიკური ქარხნის რეკონსტრუქცია, ექრძოდ, გაფართოვდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა მისი ძირითადი უბანი — ლითონკონსტრუქციათა საამქრო.

ეს საწარმო, რომელიც მდებარეობს დასავლური ნაწილი სასოფლო-სამეურნეო რაიონების უშუალო სიახლოვეს, უკანასკნელ წლებში გახდა მორეული აღმოსავლეთის სამელიორაციო ტრესტების მთავარი ტექნიკური ბაზა. აქ აწარმოებენ სხვადასხვა მოწყობილობას წყალთა მეურნეობის მშენებლობისა და ყამირი მიწების ასათვისებლად ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებში, ამურის, სახალინის, კამჩატკისა და მაგადანის ოლქებში.

ᲣᲤᲐᲚᲐᲥᲔᲗᲘ

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ სატრაქტორო ქარხანაში მოქმედებს მომჭირნეობის სკოლა. ამ სკოლად გადაიქცა ეკონომიკური ცოდნის უნივერსიტეტი. მისი მსმენელების მიერ წამოყენებული წინადადებები საწარმოს დაეხმარნენ განვლილ წელს დაეზოგათ ექვსასი ტონა ლითონი, დიდძალი ელექტროენერგია. ყველაზე უფრო საინტერესო სასოლეკენ განიხილავენ უნივერსიტეტის მეცადინეობაზე.

ამჟამად ყოველი მეოთხე ტრაქტორმშენებელი სწავლობს საყოველთაო ეკონომიკური ცოდნის სისტემაში. სკოლების, სემინარების მეცადინეობის პროგრამამ ამთ ეხმარება გადაჭარბ პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია მასალებისა და ენერგორესურსების ეკონომიასთან. ნოეტორებმა, უკვე წამოაყენეს მრავალი წინადადება, რომლებიც კოლექტივს საშუალებას აძლევს დაზოგონ ათასი ათასი მანეთი.

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐ

ᲨᲘᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

ᲨᲘᲜ მუშაობის გამო შრომითი სტაჟი არ შეუწყდა ტატიანა თევდორეს ასულ ბორისოვას, იმის მიუხედავად, რომ იგი არ დაბრუნდა ფაბრიკაში, როდესაც უმცროსი ბავშვი წლისა გუუხდა. კეთილნები შემლების შემდეგ მას საშუალოს შინ აძლევენ, სანამ ბავშვები არ წამოიზრდებიან.

— ეს ხელსაყრელია. მასალები მოაქვთ, პროდუქცია მიაქვთ. ასეთივე პირობები შეუქმნეს ყველა მრავალშვილიან დედას, რომლებიც მუშაობენ მინსკის სამკერავალო საწარმოო გაერთიანება „კომსომოლკაში". მათთვის, აგრეთვე პენსიაზე გასული ვეტერანებისათვის, რომელსაც სურთ საწარმოში იმუშაონ, შექმნილია სპეციალური უბანი.

ამ უცნაურ როდი მოახერხეს ოპტიმალური პირობები შეექმნათ შინმომუშავეთა „საამქროში". მაგალითად, დიდი გაბარტების მოწყობილობა მოუხერხებელია ბინებში დასადგმელად. ამიტომ შინმომუშავეებს ჯადასეეს უფრო იოლი და მარტივი მოსაშებდებელი ოპერაციები, მაგალითად,

, როგორიცაა სხვადასხვა ფურნიტურის, ეტიკეტიკისა და სხვა დეტალების დამზადება შეკერილი ნაწარმის, გაწყობისათვის. მოწყობილობა, რომელიც მათ დასჭირდათ, მიდერნიზებულია. შინ მომუშავეებს დაუდგინეს ინდივიდუალური გეგმები და ნორმები თითოეულის შესაძლებლობისა და უნარის შესაბამისად.

ასეთი საამქროები ნაყოფიერია, მაგრამ „კომსომოლკაში" მარტო ამაში როდი ხედავენ მათ ღირსებებს. ისინი საწარმოს დაეხმარნენ შეინარჩუნონ მცოდნე მუშაკები, ვისი გამოცდილება და [illegible]ოდნაც ჯერ კიდევ გამოადგება კოლექტივსა და წარმოებას.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲕᲐᲒᲝᲜᲘ ᲛᲝᲪᲓᲐ, ᲕᲘᲡᲘ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ?

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ათ თვეში ამიერკავკასიის რკინიგზის საგარეკავ სადგურის მომსახურებაში მყოფმა ორგანიზაციებმა და სამხედრო ზენორმატიული მოცდენებისათვის ჯარიმის სახით დაახლოებით 60 ათასი მანეთი დაგადიხადეს. მათგან ყველაზე მეტი — 45 ათასი მანეთი საგარეკავ სამარკო და საექსპორტო ღვინოების ჩამოსასხმელ ქარხანაზე მოდის.

ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ ციფრებში რაოდენი უპასუხისმგებლობა, უყაირათობა თუ გულგრილობა იმალება, რაოდენ დანაშაულებრივად ირღვევა სარკინიგზო დისციპლინა, რომელსაც თავისი მტკიცე წესი და განრიგი აქვს.

წესისამებრ, რკინიგზის სადგური ჯარიმას წარუდგენს ორგანიზაციას და მის გადახდას წინ არაფერი უდგას! მთავარი კი — ვინ არის დანაშაული ვაგონების მოცდენაში — მე, შენ, ის, თუ ჩვენ ერთად, იჩქმალება.

მოდი, გულახდილად ვთქვათ, გვაქვს თუ არა რკინიგზის სადგურს იმის ელემენტარული პირობები, რომ ვაგონების დატვირთვა-განტვირთვა დროულად განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით ხდებოდეს? არა!

რა უშლის ამას ხელს?

ბევრან რკინიგზის სადგურებზე, ამ შემთხვევაში საგარეკავ სადგურებზე, ამ ციფრებში ჩამოცლაზე, როგორიც არის ცემენტი, შიფერი, კომბინირებული საკვები, მინდვრის სასუქები და მბამ-ქიმიკატები, ორგანიზაციებს ხელით შრომაზე ხუთმაგი და ათმაგი ანაზღაურება უხდებათ.

ვინ უნდა მოაგვაროს ყოველივე? საკითხი მეტად აქტუალური, ვინაიდან ეს არის ვაგონების მოცდენა, საქმისათვის თავის არიდებისა და, მოლოდ, თუნდაც დანაშაულის ერთერთი მთავარი მიზეზი.

ალის ამის ფაქტებიც, როცა ორგანიზაციები სათანადოდ ვერ იყენებენ საამისოდ არსებულ ტექნიკა-დანადგარებს, მოძრავ ავტომაწეველს, ტრანსპორტს, რისათვისაც ყველა კონკრეტულად უნდა აგებდეს პასუხს; უნდა ჯარიმებებოდნენ ისინიც, ვინც ხელგაკეთ და ანაგვიანების სადგურს, ჩიხებსა და ბოეფნებს.

სამაგალითოდ, საგარეკავ სამარკო და საექსპორტო ღვინოების ჩამოსასხმელი ქარხნისათვის დაკისრებული ჯარიმა — 45 ათასი მანეთი, მარტო სარკინიგზო სამსახურის და ქარხნის დირექციის ბრალი არ არის, სამშენებლო ორგანიზაციებმა დღემდე ვერ დაამონტაჟეს და ვერ დასრულეს შეკანიკური და ავტომატური დასატვირთ-განსატვირთავი ტრანსპორტიორები, რაც ქარხანას დიდ ეკონომიდან აწევს.

ამ საქმის მოუწესრიგებლობის და ერთიმეორისათვის გადაბარების მიზეზები უამრავი. საკითხი რამდენჯერმე განხილა საბალო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, დაიწერა ადგილობრივ პრესაში, მაგრამ საქმეს ბერი არ უჩანს.

ჩვენ კი ერთის დავსძენთ: მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, რომ რკინიგზაზე შეფერხებები აღარ იყოს.

ᲕᲚ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

პარტბიუროს მდივნის ტრიბუნა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა და ავტორიტეტი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აქტიურობასა და პასუხისმგებლობას იჩენს მისი თითოეული წევრი, როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, როგორ ცდილობს, რომ მხოლოდ თვითონ კი არ იყოს მოწინავე, არამედ პირადი მაგალითით სხვებსაც რაზმავდეს ახალი წარმატებებისათვის. ამ მხრივ კი კომუნისტთა საქმიანობის აქტიურობის საუკეთესო განმსაზღვრელია მათ მიერ პარტიული დავალებების შესრულების ხარისხი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ერთი-ერთი ძირითადი საკითხი, რომელზეც კომუნისტთა ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა ჩვენი საუბნო პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, სწორედ პარტიული დავალება გახლდათ.

...ის განხილვაში და თავიანთი მდიდარი გამოცდილებით დიდ დახმარებას გვიწევენ მუშაობაში.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ერთია დავალების მიცემა, ხოლო მეორე, და უფრო მნიშვნელოვანი, მისი შესრულების ხარისხი. ამიტომ ცალკეულ კომუნისტთა მიერ პარტიული დავალებების შესრულების მიმდინარეობას ჩვენ სისტემატურად ვამოწმებთ (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ), მაგრამ არსებულ მდგომარეობას ყველაზე საფუძვლიანად მაინც წლის ბოლოს, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ვაანალიზებთ. აქ კონკრეტულად ვმსჯელობთ თითოეული კომუნისტის წვლილზე და ერთობლივად ვსახავთ საქმის გაუმჯობესების, უკეთ მუშაობის გზებსა და საშუალებებს ასევე იყო წლევანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც, რომელზეც კონკრეტულად ვიმსჯელეთ ამ მხრივ თითოეული კომუნისტის მიერ გაწეულ საქმიანობაზე.

იმ კომუნისტთა შორის, რომლებიც მართლაც მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პარტიული დავალების შესრულებას, უპირველესად დავასახელეთ აწყურის აგროუბნის № 2 ბრიგადის რგოლის ხელმძღვანელი, პარტჯგუფორგი ს. არზანოვა. მისი, როგორც პარტჯგუფორგის,

საანგარიშო პერიოდში ჩვენი სოფლის კომუნისტების უმრავლესობა მთელი პარტიული პასუხისმგებლობით იბრძოდა დავალებათა შესრულებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის ყველაზე. მართალია, ძალიან ცოტა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც გვყავს ისეთი კომუნისტებიც, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პარტიულ დავალებას ან საერთოდ თავს არიდებენ მას, არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში.

გასულ საანგარიშო პერიოდში, მაგალითად, კომუნისტი ა. არუთინოვი, რომელსაც მძიმე ფიზიკური შრომა არ შეეძლო, პარტბიუროს შუამდგომლობით მეურნეობის დირექციამ ავტოპარკის ყარაულად დანიშნა. მაგრამ მან პარტბიუროსაც და დირექციასაც იმედები გაგვიცრუა. არც ამ მსუბუქ სამუშაოს დაუდო გული და არც პარტიული დავალების შესრულება ჩათვალა საჭიროდ. საანგარიშო პერიოდში პარტიული დავალების შესრულებაში პასიურობდა აგრეთვე ს. გოგოლაძე.

ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ჩვენც — პარტბიუროს, მის წევრებს და პირადად მე, როგორც პარტბიუროს მდივანს, მიგვიძღვის ბრალი. როგორც ჩანს, არ კმარა მარტო ის, რომ კომუნისტს მივცეთ პარტიული დავალება. საჭიროა დროულად, სისტემატურად, ვამოწმებდეთ, თუ როგორ ართმევს თავს ამ დავალებას და კიდევაც ვეხმარებოდეთ, ხელს ვუწყობდეთ მის შესრულებაში.

თითოეულისა და ყველას აქტიურობით

ამ საკითხს მუდამ დიდ ყურადღებას ვაქცევდით და ასეთი წესიც დამკვიდრდა: საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ გამართულ პარტბიუროს პირველსავე სხდომაზე, როცა ბიუროს წევრებს შორის ფუნქციებს ვანაწილებთ და პირველსავე პარტიულ კრებაზე ყოველ კომუნისტს ვაძლევთ პარტიულ დავალებებს. ამავე დროს ვცდილობთ ისე მოვაწყოთ ეს პასუხსაგები საქმე, რომ, ჯერ ერთი, არც ერთი პარტიელი არ დარჩეს უდავალებოდ, არ მოსწყდეს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, პარტიულ მუშაობას და, მეორეც, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ

სამახსოვრო დღიური სავსეა საყურადღებო ჩანაწერებით. ამ პარტიული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კომუნისტს თავისი პარტიული ჯგუფისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელებაში ღირსეული წვლილის შეტანა დაუსახავს. იგი თანამიმდევრულად იბრძვის მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფისა და პრაქტიკული ხორცშესხმისათვის. ამიტომ არის, რომ წლევანდელი არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, მისი რგოლის წევრებმა გა...

პარტიული დავალების შესრულებას ჩვენ ძირითადად ვამოწმებთ მუშაობის ისეთი ნაცადი ფორმით, როგორიც არის კომუნისტის ანგარიშის მოსმენა პარტიულ კრებაზე. გასულ საანგარიშო პერიოდში ჩვენ მოვისმინეთ შვიდი ასეთი ანგარიში. ვფიქრობთ, ეს ცოტა არ არის, მაგრამ წელს გადავწყვიტეთ მოვისმინოთ სულ ცოტა ათი კომუნისტის ანგარიში. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მარტო ამით ვერ შევძლებთ სრული კონტროლი დავუწესოთ პარტიული დავალების შესრულებას ისეთ ორგანიზაციაში, სა...

ხეები ზეზეურად კვდებიან

როცა სოფელზე სოფლის თავკაცებს გული არ შესტკივათ

დიდი ლიახვის თვალწარმტაც ხეობაში, იქ, სადაც მდინარე ვაკეზე შლის ტალღებს, შეფენილია უძველესი ქართული სოფლები, კეხვი, ქემერტი, ძარწემი... გამრეკი, უწყინარი ხალხი ცხოვრობს აქ. ვაზის მოვლაც იციან, პურისა და სიმინდის მოყვანაც, განსაკუთრებით ხეხილი უყვართ. აკი საქვეყნოდ გაითქვა სახელი აქაური ჯიშის ვაშლმა — „კეხურამ".

ახლა ყური მივუგდოთ ქემერტის კოლმეურნეობის, უფრო სწორად, ამ სოფლის ერთი დიდი უბნის — ოთინაანთუბნელების გასაჭირს.

— აკი თავიდანვე ვთქვით, — უწყინარი ხალხია, მომთმენებიც არიან. სხვა მათ ადგილზე მთასა და ბარს შესძრავდა, ჩვენს დროში ასე უპატრონოდ მიტოვება როგორ იქნებაო.

...დებიან, შესრულებაზე კი არავინ ფიქრობს, — ამბობს პედაგოგი ლევან ოთინაშვილი.

„ოთინაანთ უბნის მაცხოვრებლები ითხოვენ — ჩქლაგდეს მილები და შეუქრონდეს სარწყავ სისტემას, რომ მოირწყას მათი საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობენ წყალსატუმბი აგრეგატების მოქმედების ზონის მაღლა. ამისათვის საჭიროა უფრო მძლავრი სატუმბი აგრეგატები. სარწყავი სისტემის ასეთი რეკონსტრუქცია არ არის მიზანშეწონილი და არც არის ამის საშუალება.

რაც შეეხება სოფლის მცხოვრებთა საჩივარს სასმელი წყლით მომარაგების თაობაზე, იგი არამართებულია, რადგანაც ამ სოფელში არის წყაროს წყალი, რომელიც აკმაყოფილებს სოფელს წყალმომარაგების მოქმედი ნორმების ფარგლებში".

ასეთი პასუხი მიიღეს ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომისა და სამხრეთ ოსეთის წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამმართველოდან საოლქო საბჭოს აღმასკომსა და ოთინაანთ უბანში.

...წყალი მოდის, მეორეში — სარწყავი. რას იდარდებს სოფლისას!

— თუმცა ის რა გავამტყუნოთ. ბოლო ხანებში შევაჯერეთ რაიონის ხელმძღვანელობა. როცა კრება გვაქვს, ყოველთვის უწყლობას ვუსაყვედურებთ. გვპირ...

...ვუწოდოთ ასეთ პასუხს, — ბიუროკრატიული?

ჰოდა, მივხედოთ სოფელს, უწყლოდ ნუ დავსჯით მშრომელ ადამიანებს, ხეებს ზეზეურად ნუ გავახმობთ!

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა ქვეყნის უნივერსიტეტების, პედაგოგიური, იურიდიული ინსტიტუტების, ხელოვნებისა და კულტურის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა თათბირ-სემინარმა. მასზე განიხილეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. უმაღლესი სასწავლებლების, კერძოდ, იმ უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების წინაშე მდგომ პრობლემებს, რომლებიც კულტურის მუშაკებს ამზადებენ, გვაცნობს ქვემოთ მოყვანილ წერილში თათბირის ერთ-ერთი მონაწილე, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ბ. თოთიბაძე.

სკკპ XXVI ყრილობამ კულტურის მუშაკებსა და უმაღლესი სკოლის პედაგოგებს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. როგორც ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, დიდი მუშაობა მოგველის სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფისათვის, იმის აღმოფხვრისათვის, რაც ხელს უშლის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას.

ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ხელოვნებისა და განათლების მოღვაწეთა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, მათი იდეური შეიარაღების, მხატვრული ოსტატობის ამაღლებას, სწავლების მეთოდების დახვეწას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელ მსოფლიოში სახვითი ხელოვნების სკოლა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მხოლოდ ...

...ნერგავად, ცხოვრებასთან, ხალხის სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებებთან ხელოვნების დასაახლოვებლად.

სულ უფრო ხშირად სადიპლომო ნამუშევრებს საფუძვლად ედება არა განყენებული პროექტები, არამედ რეალური ობიექტები. „რეალური სადიპლომო პროექტების" პრაქტიკამ როგორც სახვითი, ისე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებში და დიზაინში დამაჯერებლად ცხადყო სასარგებლო წამოწყების ცხოველმყოფელობა და სისწორე. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზს. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ძალებით შექმნილი სკულპტურული ნამუშევრები ამშვენებს დღეს თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მოედნებსა და სკვერებს. მოზაიკური პანოები, მცირე ფორმების

...ნაკლოვანებანი, ძნელად გადასაჭრელი პრობლემები. ალბათ, ზედმეტია აღინიშნოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დიზაინერი მხატვრის როლი ... უბნის ... ნივთების ... სამწუხაროდ, ... პროდუქციის ... უში მეტად დაბალ დონეზეა. ეს ითქმის მოუხერხებელ ფეხსაცმელზეც, უშნო, უსახო ტანსაცმელზეც, მახინჯ სათამაშოებზეც... დასანანია, რომ ჩვენი სახელმწიფო, რომელსაც პირველხარისხოვანი ნედლეულიც აქვს და არც მუშათა გამრჯე ხელი აკლია, დიდ ზარალს განიცდის ისეთი პროდუქციის გამოშვების შედეგად, რომელიც საერთოდ არ საღდება. შეიძლება შემეკამათონ, რომ ამის მიზეზია მასალების, საღებრების, ზოგიერთ სახეობათა მოწყობილობის დეფიციტი, საწარმოთა ხელმძღვანელობის მოუქნელობა და სხვა, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის რომ წარმოებაში არ ჰყავთ დიზაინერი მხატვარი, კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია საქმის ცოდნით შეიმუშაოს მასობრივი წარმოებისათვის განკუთვნილი ნებისმიერი ნივთის ესკიზი.

ბევრი სამხატვრო უმაღლესი სასწავლებელი და მათ შორის ჩვენიც, გამოეხმაურა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას და შექმნა საჭირო პირობები

აღვზარდოთ შემოქმედი მხატვარი

მერი გიგაურის ახალი მიჯნები

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების უცვლელი მოწინავეა. შარშანდელი სახელმწიფო დავალება საწარმოში ვადამდე შესრულდა და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ასიათასობით მანეთის პროდუქცია გაეგზავნა.

წარმატებით შეუდგა ფაბრიკის კოლექტივი მიმდინარე წლის მიჯნების დაძლევასაც. სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მემანქანე მერი გიგაური, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მერი გიგაური.
ჯ. ლომაძის ფოტო.

ყაირათიანთა ვახტი

...მესამედით შემცირდა იმ ფარებთან შედარებით, რომლებსაც ქარხანა დღეს უშვებს. მის შესაბამისად წლიური პროგრამის შესასრულებლად ელექტრიკოსებს 500 ტონით ნაკლები ლითონი დასჭირდებათ. „კასპელექტროაპარატის" მარკიანი ნაწარმი სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგში გამოიყენება. ახლა საწარმოს მიერ გამოშვებული მართვის ყუთებისა და ფარების ორი მესამედი აღნიშნულია სახელმწიფო ხარისხის ნიშ...

...ციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის შრომით მეტოქეობაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ დ. მჭედლიშვილისა და ვ. ბერიაშვილის ელექტროშემდუღებელთა, ვ. ხუციშვილის ამწყობთა და ა. ნონიაშვილის დამმზადებელთა ბრიგადები. ისინი მომჭირნეობის პირადი ანგარიშებით მუშაობენ.

ყაირათიანთა ვახტი გრძელდება. (საქინფორმი).

ოფიციალური განყოფილება

პროფესიების შეთავსების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაკთა დაინტერესება შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებით და ნაკლები რაოდენობის პერსონალით სამუშაოთა დადგენილი მოცულობის შესრულებით, აგრეთვე სსრ კავშირის კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „პროფესიების (თანამდებობების) შეთავსების წესისა და პირობების შესახებ".

თვალისწინებულია, რომ პროფესიების (თანამდებობების) შეთავსება, როგორც წესი, ნებადართულია იმ კატეგორიის პერსონალის ფარგლებში, რომელსაც განეკუთვნება მოცემული მუშაკი (მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები და სხვები). პროფესიების (თანამდებობების) შეთავსება იმ მუშაკების მიერ, რომლებიც საწარმოო დარგების, სხვა კატეგორიის პერსონალს განეკუთვნებიან, აგრეთვე პრო...

...ბის ზონათა გაფართოების ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის გათვალისწინებულია სართი შემდეგი ოდენობით:

საწარმოო დარგების, მუშებსა და უმცროს მომსახურე პერსონალს, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოზე დასაქმებულ მუშებს — ძირითადი სამუშაოს სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 50 პროცენტამდე;

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და სხვა სპეციალისტებს, აგრეთვე საწარმოო დარგების მოსამსახურეებსა და სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების ყველა კატეგორიის მუშაკებს — ძირითადი სამუშაოს სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 30 პროცენტამდე.

დროებრივი მუშებისა და უმცროსი მომსახურე პერსონა...

პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებისათვის ... ხურების ზონათა გა... ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის სართის მისაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუშაკთა რიცხვის შემცირების მეშვეობით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის სახსრები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომელი კატეგორიის მუშაკებზე არ ვრცელდება იგი (სამეცნიერო-კვლევით დაწესებუ...

...ბის მთელი რიგი პირები, აგრეთვე მეცნიერი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სხვა სპეციალისტები და მოსამსახურეები).

სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ დადგენილების გამოყენების ინსტრუქცია.

ხალხის საკეთილდღეოდ

საკავშირო კომუნისტური შაბათობის მოწყობის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1981 წლის 18 აპრილს მოწყობილი საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ. ეს სახსრები მოხმარდება:

116,9 მილიონი მანეთი — 1982-1985 წლებში სამშობიარო სახლებისა და სამეანო-გინეკოლოგიური კორპუსების (5,39 ათასი საწოლი), ქალთა კონსულტაციების (1,76 ათასი პაციენტის მომსახურება ცვლაში), აგრეთვე ბავშვთა საავადმყოფოების და საამბულატორიო-პოლიკლინიკური დაწესებულებების, ბავშვთა ...

ყოველნაირად მოვუფრთხილდეთ ბუნებას

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" და „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ" სსრ კავშირის კანონების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო ორი დადგენილება.

„ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ამონაფრქვევებისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების შესახებ" დადგენილებით გათვალისწინებულია აღნიშნული ნორმატივების შემუშავების, შეთანხმების, დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების წესი.

დადგენილია, რომ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ამონაფრქვევების ნორმატივებს, რომელთა შემუშავებასაც საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის უზრუნველყოფენ სსრ კავშირის ...

...რის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოები.

ამ ნორმატივების დაცვის უზრუნველმყოფელ ღონისძიებათა რეალიზაციის პერიოდისათვის ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების მქონე საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შეუთანხმონ და აღნიშნულ ორგანოებში დასამტკიცებლად წარადგინონ დროებით შეთანხმებული ამონაფრქვევების ნორმატივთა პროექტები და დადგენილ ნორმატივებამდე ამონაფრქვევების ეტაპობრივი შემცირების გეგმები.

„თევზის მარაგის დაცვის გაძლიერებისა და სამოყვარულო და სპორტული მეთევზეობის ორგანიზაციის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" დადგენილებით სსრ კავშირის თევზის მეურნეობის ...

საუკუნეებს გასწვდება

პრაქტიკული კოსმონავტიკის ფუძემდებელს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს სერგი კოროლიოვს დღეს 75 წელი შეუსრულდებოდა...

„კოსმოსის ეპოქა" — ეს სიტყვები ყველაზე უფრო გამოხატავს ჩვენი საუკუნის — მეოცე ასწლეულის განსხვავებულსა და უმნიშვნელოვანეს ნიშან-თვისებებს.

ადამიანთა რამდენი თაობის უდიდესი ნატვრა და ოცნება ახდა იმ დაუვიწყარი 1961 წლის 12 აპრილს, როცა იური გაგარინი გაფრინდა კოსმოსში!

ან რა დაგვავიწყებს 1957 წლის 4 ოქტომბერს, იმ დღეს, როდესაც დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი საბჭოურმა რაკეტამ კოსმოსის სივრცეებში ატყორცნა!

და სწორედ აქ, კაცობრიობის ისტორიაში ამ უდიადეს მოვლენათა სათავესთან, იდგა იგი — ჩვენი ქვეყნის მკვიდრი და მოქალაქე, საბჭოთა მეცნიერი, პრაქტიკული კოსმონავტიკის ფუძემდებელი, კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი სერგი კოროლიოვი.

დღეს, 12 იანვარს, მისი დაბადების დღეა. ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს აკადემიკოს სერგი კოროლიოვს დღეს 75 წელი შეუსრულდებოდა.

მისი სახელი უკვდავებასთან არის წილნაყარი.

თუმცა მეცნიერის სიცოცხლე 1966 წელს შეწყდა, მისი საქმე და მისი იდეები ცოცხლობს და იცოცხლებს მარად საბჭოთა მეცნიერების ყოველ დიდ გამარჯვებაში, ყოველ საკაცობრიო მიღწევაში.

სერგი კოროლიოვის ფასდაუდებელი პირადი წვლილის ყველაზე დიდებული შეფასებაც იყო დაუვიწყარი სიტყვები, რომლებიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე წლისთავის იუბილეზე წარმოთქვა: „საუკუნეებს გასწვდება საბჭოური მეცნიერების გმირობა რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის შექმნასა და კოსმოსის ათვისების საქმეში გამარჯვებისათვის".

დიახ, საუკუნეებს გასწვდება მანამდე არნახული და არგაგონილი გმირობის ამბავი და იმ ნათელსა და უსასრულო მერმისში ჩვენი პლანეტის ყოველი ადამიანი კოსმოსური სივრცეების პირველმკვლევართა შორის სათუთად, სიყვარულით მოიხსენიებს სერგი კოროლიოვის ღვაწლსა და ამაგს, მართლაც, ჭეშმარიტ გმირობას.

რამდენი ბრწყინვალე ფურცელი ამშვენებს დღესდღეობით კოსმოსის ათვისების მატიანეს, რომლის თავფურცელზეც ს. კოროლიოვის სახელი ბრწყინავს!

რამდენი სიკეთე მოუტანა საბჭოთა ხალხს, მთელ კაცობრიობას კოსმოსის ასათვისებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა!

რამდენს გვპირდება იგი მომავალში!

დღეს კოსმოსურ სივრცეს ითვისებენ ადამიანები.

წინ არის პლანეტათშორისი სივრცის შესწავლისა და ათვისების დიდი პერსპექტივა...

და ყველგან, ყველაფერში, რაც კი კოსმოსს, სამყაროს უკიდეგანო სივრცეების დაპყრობას უკავშირდება, გრძელდება დიდი საბჭოთა მეცნიერისა და კონსტრუქტორის სერგი კოროლიოვის სიცოცხლე...

● • ●

სურათზე: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი სერგი კოროლიოვი.

საქპრესის ფოტოქრონიკა.

გამსვლელი სხდომა

ბათუმი. (საქ. კორ). ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის მეცნიერებამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. გაუმჯობესდა კლინიკური და ექსპერიმენტული მუშაობა. სიახლეები დაინერგა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში.

ახლახან ბათუმში ორ დღეს მიმდინარეობდა ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა დიდი ბჭობა. იგი მოაწყვეს ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა რესპუბლიკური სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების გამგეობამ, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების გამგეობამ. გაერთიანებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები.

გაერთიანებულ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა ე. გობრონიძემ, ა. ლაჭყეპიანმა, ნ. ქავთარაძემ, გ. ზედგენიძემ, შ. გამყრელიძემ, ც. ჩხოკვიშვილმა და სხვებმა. ბათუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს სპეციალისტებმა წარმოადგინეს ოთხი თემა.

გამსვლელ სხდომას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქიატრიისა და ნევროპათოლოგიის დარგში მომუშავე ექიმებისათვის.

მ. გორგილაძე.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორის მოადგილე, სტუდიის მთავარი ინჟინერი ამხ. ალექსანდრე დომენტის ძე **გურგენიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახკინოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი ამხ. ვალერიან ხარლამპის ძე **ჩხარტიშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. თამაზ ალექსანდრეს ძე **ქოიავა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

„პარტიული სიტყვა" №1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — მრავალს დაესწარით!.. აქვეა გამოქვეყნებული შ. გოგიძის წერილი — ილხენდა ხალხთან ერთად.

ამ ნომერში ჟურნალი იწყებს მასალების გამოქვეყნებას ახალი რუბრიკით „60 მძლე კავშირი მარადი", რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. აქვე დაბეჭდილი რუბრიკის პირველი მასალა „მომავლისაკენ სწრაფვით", რომლის ავტორია ცნობილი საბჭოთა მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი, „ლიტერატურნაია გაზეტას" მთავარი რედაქტორი ა. ჩაკოვსკი.

ანშლაგით „ანთოლოგია-82" გამოქვეყნებულია ლექსები: თ. ჯანგულაშვილისა — რწმენა — სარდალი; ო. შალამბერიძისა — პატიონების წმინდა მანდატი.

რუბრიკით „ნომრის სტუმარი" დაბეჭდილია — უმთავრესი და უპირველესი მიზანი (საუბარი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან ი. შხვაცაბაიასთან).

განყოფილებაში „დღეს როგორც ვიშრომებთ, ხვალ ისე ვიცხოვრებთ" გამოქვეყნებულია დ. იასეშვილის — იკისრეს, მაგრამ...

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „პოლიტიკური რომანი", „მე ტრიალ ქვეყანაზე", „ჩოგანი", „დიამშის კაბადონი".

ამერიკის ადმინისტრაციის მოთხოვნა

ბრიუსელი. დღეს ბრიუსელში გაიხსნა ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ოფიციალურ შეხვედრას წინ უძღოდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის წარმომადგენელთა საიდუმლო შეხვედრა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ა. ჰეიგმა შეხვედრაზე, როგორც საინფორმაციო წრეებისათვის ცნობილი გახდა, ჩამოაყალიბა პოლონეთის ამბებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი დისკრიმინაციული ღონისძიებების ამერიკისეული „პროგრამა-მაქსიმუმი".

ეი-ბი-სის ტელეკომპანიის ცნობით, ჰეიგმა ბრიუსელში თან წაიღო ვაშინგტონში წინასწარ მომზადებული თათბირის შესაბამისი „კომუნიკეს პროექტი".

რ. რეიგანის ადმინისტრაცია მოითხოვს, რომ შანტაჟისა და ზეგავლენის ღონისძიებანი, რომლებიც მოასწავებენ სუვერენული პოლონეთის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას, მოიწონა და აქტიურად დაუჭირა მხარი ბლოკის ყველა დანარჩენმა მონაწილემ.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დასახულ ყველა ღონისძიებას ან მათ მეტ ნაწილს მიიღებენ საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარე ამ შეხვედრის მონაწილე მინისტრები, სათანადო ზეგავლენას მოახდენენ ნატოს დანარჩენ სახელმწიფოებზე, რათა არ დაუშვან ფართო ოფიციალური დისკუსიები და ძალიონ მოსალოდნელი წინააღმდეგობანი.

ვაშინგტონი. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს, რეიგანის ადმინისტრაციას ძლიერ სურს „საფუძველი მაინც ჩაუყაროს იმას, რომ ევროპელებმა მომავალში შემოიღონ „სანქციები" სსრ კავშირისა და პოლონეთის წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებს, როგორც იუწყებიან, მაგალითად, ძალიან სურს, რათა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, უწინარეს ყოვლისა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, უარი თქვას სსრ კავშირთან შეთანხმებაზე ციმბირის გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობის შესახებ. ამ შეთანხმებამ, წერს გაზეთი, ვაშინგტონი „გააცოფაო".

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, ადმინისტრაციამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიას მოსთხოვა შეუწყვიტონ დიდმნიშვნელოვანი კომპონენტების მიწოდება ახალი გაზსადენისათვის, რომლითაც საბჭოთა გაზს დასავლეთ ევროპა მიიღებს. გაზეთი წუწუნებს იმის თაობაზე, რომ დასავლეთ ევროპის მთავრობები მთლიანად, უწინარეს ყოვლისა, შეშფოთებული არიან იმის გამო, ვაი თუ ზიანი მოუვიდეს სოციალისტურ ქვეყნებთან მათ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობას.

ლონდონი. ლონდონის „ტაიმსი", ეხება რა თავის დასავლეთევროპელ პარტნიორებზე ვაშინგტონის ზეგავლენას, წერს: „დასავლეთ გერმანიის წრეებმა აღნიშნეს, ნაკლებად შესაძლებელია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დაეთანხმოს რაიმე ღონისძიებას, რომლებიც სერიოზულად გამოუთხრიან ძირს დაძაბულობის შენელების პროცესს".

პარიზი. საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრმა კ. შეისონმა ტელეინტერვიუში თქვა, რომ საფრანგეთი არ აპირებს შეამციროს სსრ კავშირთან თავისი ვაჭრობის მოცულობა და კერძოდ უარი თქვას საბჭოთა გაზის მიღებაზე, რომელიც საფრანგეთს ძალიან სჭირდება. „ჩვენ, — განაცხადა მან, — ომის მდგომარეობაში როდი ვართ".

მინისტრმა აღნიშნა, რომ „თავიდანვე იყო განსხვავება პოლონეთის ამბების ანალიზში საფრანგეთსა და მათ ევროპელ და თვით ამერიკელ პარტნიორებს შორის". მისი აზრით, ნატო „სრულიადაც არ არის საუკეთესო ადგილი პოლონეთის ამბებთან დაკავშირებული პრობლემების პრინციპული განხილვისათვის".

როგორც გაზეთი „მატენი" წერს, „ვაშინგტონს არა აქვს არავითარი შანსი აიძულოს ევროპელები პოლონეთის წინააღმდეგ გამოიყენონ სასურსათო ან ჰუმანური დახმარების იარაღი, ან აგრეთვე ემბარგო დააყენონ ევროპაში საბჭოთა გაზის მიწოდების საკითხი.

● საბერძნეთი

მთავრობის პოზიცია

ათენი. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ხარალამბოპულოსმა ნატოს წევრ ქვეყნებს შეატყობინა, რომ საბერძნეთი წინააღმდეგია პოლონეთის მოვლენებთან დაკავშირებით განხორციელდეს რაიმე დისკრიმინაციული — ეკონომიკური და სხვა ღონისძიებები. ამას ადასტურებს ნატოს წევრი სახელმწიფოების ათენში აკრედიტებული ელჩებისადმი გადაცემული ნოტა.

ნოტაში, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, აღნიშნულია აგრეთვე, რომ საბერძნეთის აზრით, დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ფრთხილი პოზიცია დაიკავონ პოლონეთის საკითხში. გარდა ამისა, საბერძნეთის მთავრობის აზრით, საეჭვოა ნატო შესაფერი ადგილი იყოს პოლონეთის ამბებისადმი დამოკიდებულების საკითხის განხილვისათვის, მით უმეტეს, რომ როგორც საბერძნეთს მიაჩნია, პოლონეთში არ ყოფილა არავითარი უცხოეთის სამხედრო ჩარევა.

საქპრესისა და ახალი ამბების სააგენტოს-კორესპონდენტები გვატყობინებენ

დღევანდელის ზურგზე

11 იანვარი

● კამპუჩია

პროვოკაცია საზღვარზე

პნომპენი. ახალი შეიარაღებული პროვოკაციები განახორციელა ტაილანდის მხედრიონმა ახალი წლის პირველ კვირას სახალხო კამპუჩიის საზღვარზე. როგორც კამპუჩიის სპკას საინფორმაციო სააგენტო იუწყება ამ დღეებში ტაილანდის არტილერიამ 72-ჯერ დაუშინა ცეცხლი კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებს. საარტილერიო ცეცხლის მხარდაჭერით პოლპოტელთა ჯგუფები შეეცადნენ კამპუჩიის ტერიტორიაზე შეღწევას. დამრღვევებს საპასუხო დარტყმა მიაყენეს კამპუჩიელმა მესაზღვრეებმა.

● ჰაიტი

გადასხდნენ კუნძულზე

ნიუ-იორკი. როგორც ამერიკის აპ და იუპის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, 10 იანვარს შეიარაღებულ პირთა ჯგუფი, რომელიც ქვეყნიდან გაძევებული ჰაიტელებისაგან შედგებოდა, გადასხდა ჰაიტის სანაპიროდან ხუთ მილზე მდებარე ტორტუგის კუნძულზე და თოფის გაუსროლელად ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. ადგილობრივი სამხედრო გარნიზონი გადამხდომის მონაწილეებს მიემხრო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს აქცია განახორციელეს „იმ იმედით, რომ ჰაიტში გამოიწვევენ სახალხო აჯანყებას დიუვალიეს რეაქციული რეჟიმის დასამხობად".

● ფინეთი

მშვიდობის მარშები

ფინეთის ქალაქებსა და საოლქო ცენტრებში გაიმართა მრავალათასიანი მშვიდობის მარშები, განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულები ლოზუნგებით: „გადავაქციოთ ჩრდილოეთ ევროპა უბირთვო ზონად!", „არ გვინდა ბირთვული იარაღი!", პოლიტიკური სემინარები, რომლებზეც განიხილეს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები. მათს მომზადებასა და გამართვაში მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირული გაერთიანებები და ახალგაზრდული ორგანიზაციები. ფინეთის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მწვავედ გრძნობს, რომ ამჟამად მსოფლიოს ბირთვული კატასტროფის საფრთხე ემუქრება და კიდევ უფრო აქტიურად განამტკიცებს თავის რიგებს სამხედრო საფრთხის თავიდან ასაცილებლად.



სურათზე: მშვიდობის მარშის მონაწილენი დედაქალაქის ქუჩებში.

საქპრესის ფოტო.

„ქისა ან სიცოცხლე"

ამერიკის კორპორაციების იერიში მშრომელთა უფლებებზე

□ □

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს სამრეწველო კორპორაციებს ახალი იერიში მიაქვთ ამერიკელ მშრომელთა ხაარსებო უფლებებზე. ახალი მასობრივი დათხოვნებით იმუქრებიან საავტომობილო ბიზნესის „მეფეები" — კომპანიები „ფორდ მოტორი" და „ჯენერალ მოტორსი". გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ისინი მიმართავენ აშკარა შანტაჟს ავტომშენებელთა, აეროკოსმოსური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაერთიანებული პროფკავშირის მიმართ, რათა მშრომელები „ნებაყოფლობით" დაითანხმონ ხელფასის შემცირებაზე. მაგალითად, „ფორდის" მეპატრონეებმა ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს შეფილდში (ალაბამის შტატი) თავიანთი ქარხნის მუშებს მიიღონ წინადადება ხელფასის ერთბაშად 50 პროცენტით შემცირების შესახებ. ხოლო როცა პროფკავშირმა უარი განაცხადა, საწარმო დახურეს.

მეწარმენი ასეთი დრაკონული ღონისძიებების მეოხებით ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი მოგება იმ პირობებში, როცა სულ უფრო ღრმავდება ეკონომიკური კრიზისი, და მთლიანად დააკისრონ მისი ტვირთი მშრომელებს. ამავე დროს, როგორც გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" აღნიშნავს, კორპორაციები რთულ ვითარებას იყენებენ, რათა პროფკავშირებს წაართვან საგაფიცვო ბრძოლის დროს მიღწეული მონაპოვრები.

ახლა მარტო ავტომშენებლობაში უმუშევართა არმია 345 ათას კაცს აღწევს. არ წყდება დათხოვნები სხვა დარგებშიც. მაგალითად, 284 სატრანსპორტო კომპანიამ გააუქმა შრომითი შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდეს პროფკავშირთან — სატვირთო მანქანების მძღოლებისა და საწყობის მუშების პროფკავშირთან, და სამსახურიდან დაითხოვა ყოველი მეხუთე წევრი.

მუშებისაგან მატყუებისა და მუქარის მეოხებით დათმობებს აღწევენ ფოლადსამსხმელი, ავიასატრანსპორტო, სალტეებისა და სხვა კორპორაციები. მათი ულტიმატუმი — „უმუშევრობა ან ხელფასის შემცირება" — ისეთ პირობებში, როცა ქვეყანაში უკვე 9,5 მილიონი „ზედმეტი" ამერიკელია, ისევე გაისმის, როგორც შარაზის ყაჩაღის ტრადიციული მუქარა — „ქისა ან სიცოცხლე". სწორედ ასეთი ყაჩაღური პოზიციის დაკავებას აპირებენ სამრეწველო მაგნატები იმ შრომით შეთანხმებათა განახლების შესახებ მოლაპარაკებაზე, რომელიც 4,5 მილიონზე მეტ მშრომელს მოიცავს და ვადა გაუდის მიმდინარე წელს, იუწყება ჟურნალი „ტაიმი". ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის მ. ევანსის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების „დიდი ბიზნესი" აპირებს სამუშაო ძალაზე თავისი ყოველდღიური ხარჯები სულ ცოტა კიდევ 3 პროცენტით შეამციროს.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის არსი და მიზნები

ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან, შოვინიზმთან ბრძოლას ჩვენი პარტია თავისი დაარსების დღიდან ეწეოდა. კომუნისტ ინტერნაციონალისტთა, კომუნისტ ლენინელთა ეს კურსი კვლავაც დაადასტურა პარტიის XXVI ყრილობამ. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, — ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — ებრძოდა და კვლავაც შეურიგებლად შეებრძოლა სოციალიზმის ბუნებისათვის ისეთ უცხო გამოვლინებებს, როგორიც არის შოვინიზმი თუ ნაციონალიზმი, ყოველგვარ ნაციონალისტურ გადახრებს, იქნება ეს, ვთქვათ, ანტისემიტიზმი თუ სიონიზმი".

ცნობილია, რომ ჩვენი კლასობრივი მტრები საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე სსრ კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში იმედს ამყარებენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე. ფაშიზმის განადგურებისა და აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური სახელმწიფოების შექმნის შემდეგ „ეროვნული საკითხის" გაზვიადება, ანტირუსული და ანტისაბჭოური განწყობილების გაღვივება დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების პროპაგანდისტულ ცენტრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა.

ბურჟუაზიული ნაციონალისტები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კომუნიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობის" აქტიურ მონაწილეთა ბანაკში გადაბარგდნენ.

1954 წელს შეიქმნა ეგრეთ წოდებული ევროპის დამონებულ ხალხთა ასამბლეა. მასში გაერთიანდნენ პოლონეთის ორი „საემიგრაციო მთავრობა", აგრეთვე ალბანელი, ბულგარელი, ჩეხოსლოვაკიელი, ესტონელი, უნგრელი, ლატვიელი, ლიტველი და რუმინელი ემიგრანტი ნაძირალების რაზმები. ასამბლეის ხაზინა ფინანსურ დახმარებას იღებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან მისი ფონდების — „თავისუფლების შემსწავლელი ცენტრისა" და „მთავრობის საქმიანობის შემსწავლელი ინსტიტუტის" მეშვეობით, ესე იგი ფაქტობრივად შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ასამბლეა, ცხადია, შეიქმნა არა „სტიქიურად", არამედ ამერიკის მმართველი წრეების უშუალო მითითებით: შეგახსენებთ, რომ 1951 წლის 10 ოქტომბერს ტრუმენმა ხელი მოაწერა „კანონს ერთმანეთის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ", რომელიც შეიცავდა ყბადაღებულ „კერსტენის შესწორებას". იგი ითვალისწინებდა ამერიკის ბიუჯეტიდან 100 მილიონი დოლარის გამოყოფას „იმ ნებისმიერ შერჩეულ პირთა დასაფინანსებლად, რომლებიც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ალბანეთში, აგრეთვე ამ ქვეყნებიდან გაქცეულ პირთა დასაფინანსებლად, ან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მხარდამჭერი შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში მათი გაერთიანების, ან სხვა მიზნით".

შესწორების ავტორი კონგრესმენი ჩ. კერსტენი აზუსტებდა: „ჩემი შესწორება ითვალისწინებს დახმარებას იატაკქვეშა ორგანიზაციებისადმი, რომლებიც, შესაძლოა, არსებობენ ამ ქვეყნებში ან შეიძლება შეიქმნას... ეს დახმარება იმით გამოიხატება, რომ მივაღწიოთ ჩვენს უშუალო მიზანს — აღნიშნულ ქვეყნებში კანონიერი მთავრობების დამხობას":

ამას მოჰყვა ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული № 165 და № 80-90 კანონები სოციალიზმის სამყაროს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის წახალისების შესახებ.

ამ ფონდებიდან იკვებებოდნენ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების „ლიბერალიზაციის" მომხრეები და პირწავარდნილი ფაშისტი ტერორისტები. თუ ასამბლეაში მეტწილად ის ნაციონალისტური ორგანიზაციები შევიდნენ, რომლებიც საქვეყნოდ მაინც არ აცხადებდნენ ფაშიზმის მომხრენი ვართო, რაც სახელმწიფო დეპარტამენტის ამ პირმშოს გარეგნულად წესიერების იერს აძლევდა, „მიხაკისფერი ემიგრაციისათვის" გათვალისწინებული იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით შექმნილი ხალხთა ანტიბოლშევიკური ბლოკი, რომელშიც შევიდნენ ბურჟუაზიული უკრაინელი ნაციონალისტები, უსტაშები და ა. შ. შემდგომ (1967 წლის 25 სექტემბერს) ხალხთა ანტიბოლშევიკური ბლოკი გაერთიანდა „ევროპის განთავისუფლების საბჭოსთან" და „აზიის ხალხების ანტიკომუნისტურ ლიგასთან" „მსოფლიო ანტიკომუნისტური ლიგის" ფარგლებში.

განაგრძობდა რა ტრუმენის მიერ დაწყებულ „ჯვაროსნულ ლაშქრობას", ამერიკის კონგრესმა 1959 წელს მოიწონა № 111 რეზოლუცია, რომელშიც ჩამოთვლილია 22 „დამონებული ქვეყანა", ორი მათგანი არასოდეს არ არსებობდა, ხოლო ერთი — „იდელ-ურალი", რომლის „განთავისუფლებისთვისაც" „კომუნისტთა უღლისაგან" ამერიკელი კანონმდებლები „ბოლომდე ბრძოლას" მოითხოვდნენ — გამოგონილი იყო ომის დროს გებელსის უწყებაში.

ამ რეზოლუციის თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ივლისის ბოლოს იმართება „დამონებულ ხალხთა კვირეული", რომლის მსვლელობაში ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მათ შორის ჰიტლერელი ნაძირალები, თანამემამულეთა მასობრივ მოსპობაში რომ უდევთ ბრალი, აწყობენ ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოთა ხმაურიან მანიფესტაციებს, მიტინგებსა და „სიმპოზიუმებს". ნიშანდობლივია, რომ ამ „კვირეულებში" უცვლელად მონაწილეობს ამერიკის პრეზიდენტი.

უდიდესი იმპერიალისტური ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე იმედის დამყარება, როგორც დავინახეთ, ჯერ კიდევ „ცივი ომის" წლებს განეკუთვნება. მაგრამ იგი დღესაც ერთ-ერთი მთავარი იარაღია ორი სამყაროს მეტოქეობაში. განმარტავდა რა ამის მიზეზს, გავლენიანი ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის" თანამფლობელი სულცბერგერი 1970 წელს წერდა: „შეერთებულ შტატებს თავის პოლიტიკაში კეთილსასურველად მიაჩნია მოწინააღმდეგეთა შორის ზენაციონალიზმისა და ნაციონალიზმისადმი ტენდენცია ისეთ მტრულ რაიონებში, როგორიც საბჭოთა კავშირი და მისი ბლოკია, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციებში, ჩვენ აღფრთოვანებით ვუჭერთ მხარს ნაციონალიზმს.

ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალიზმის წაქეზება აღმოსავლეთ ევროპაში აღვივებს შუღლს არა მარტო რუსებსა და მის მოკავშირეებს შორის, არამედ რუსებსა და მათ ზოგიერთ თანამოქალაქეთა შორისაც, მაგალითად, უკრაინელებთან, ლატვიელებთან ან ტაჯიკებთან, თუ მარტო ამ სამი მაგალითით შემოვიფარგლებით".

ამ სტრიქონების გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ ამერიკის პროპაგანდამ ცხადყო, რამდენად ხელსაყრელი აღმოჩნდა მისთვის სსრ კავშირის წინააღმდეგ შეერთებული შტატების ძირგამომთხრელ საქმიანობაში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოყენების სულცბერგერისეული რეცეპტი, 1980 წელს რადიოსადგურებმა „ამერიკის ხმამ" და „თავისუფლებამ" მკვეთრად გაზარდეს გადაცემები შუა აზიის რესპუბლიკებისა და თათრულ ენებზე, რომლებშიც დაიწყეს ირანის რევოლუციის „გამოცდილების" ქადაგება, რომლის შედეგადაც ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მუსლიმანური სასულიერო წრეები მოექცნენ. მაშინ, როცა ირანისათვის განკუთვნილ გადაცემებში აღნიშნულ სასულიერო წრეებსა და თვით ირანის რევოლუციას აძაგებენ, სსრ კავშირისათვის გადაცემებში ამერიკის პროპაგანდა ლამის წინასწარმეტყველ მაჰმადის მოწაფის როლში გამოდის, აღვივებს სიძულვილს სსრ კავშირის სხვა ეროვნებებისადმი როგორც „ურჯულოებისადმი" და მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც თითქოს არ შეესაბამება ისლამს. ამაზე მეტი ფარისევლობის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

თუ „კონტრრევოლუციური შეთქმულებების ისტორიას მივუბრუნდებით, რომლებიც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტურის მონაწილეობით სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მოაწყვეს — უნგრეთში 1956 და ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს, დავინახავთ, რომ ნაციონალიზმისა და ანტირუსულ, ხოლო არსებითად ანტისაბჭოურ განწყობილებათა გაღვივება ანტისოციალისტური ძალების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

პოლონეთის ამბები 1980-1981 წლებში აგრეთვე მოწმობს, რომ სულცბერგერის მიერ შეთითხნილი სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების სტრატეგია წინანდებურად ითვალისწინებს ნაციონალიზმის, როგორც სოციალიზმისათვის ძირის გამოთხრის, საშუალების, გამოყენებას.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რადიოსადგური „თავისუფლება" ნაციონალისტურ პროპაგანდას ეწევა მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ენაზე, რისთვისაც თავის მიკროფონებთან იწვევს ჰიტლერელთა ყოფილ მსახურებს ნაციონალისტური ბანდების წარმომადგენელთაგან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში და მისი დამთავრებიდან გარკვეული დროის განმავლობაში საბჭოთა ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. ამგვარი გადაცემების მიზნები იგივეა, რაც პოლონეთისათვის განკუთვნილი რადიოპროპაგანდისა — სოციალისტური წყობილებისათვის ძირის გამოთხრა, რეალური სოციალიზმის დისკრედიტაცია, იმის ცდა, რომ გათიშონ საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი.

ანტისაბჭოურობისა და „თავისი" ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მეტად აქტიურ პროპაგანდას ეწევიან ისრაელი და საერთაშორისო სიონიზმის პროპაგანდისტული სამსახურები. სიონისტები ამტკიცებენ, რომ „ისრაელი ყველა ებრაელის სამშობლოა", საითკენაც ისინი უნდა მიისწრაფოდნენ, მუდმივ საცხოვრებლად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მუდმივი დახმარების გასაწევად. ეს პრეტენზიები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ყოველგვარ ნორმებს, როგორც ვიცით, იწვევს იმას, რომ ისრაელის კნესეტი იღებს კანონებს, რომელთა საფუძველზე ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის სოციალისტურშიც, მცხოვრები ებრაელები ავტომატურად იღებენ ისრაელის მოქალაქეობას, საკმარისია ოღონდ მათ ითხოვონ ისრაელში ემიგრაცია. საერთაშორისო თვალსაზრისით, ამგვარ მოქმედებას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევენ.

ამგვარი ჩარევა სულაც არ არის „ღვიძლ ძმებზე ზრუნვით" ნაკარნახევი, როგორც ამას სიონისტები და სხვა ბურჟუაზიული ნაციონალისტები ამტკიცებენ. დიდი სამამულო ომის ისტორიიდან ვიცით, რომ სიონისტები ჰიტლერელებს თავიანთ სამსახურსაც კი სთავაზობდნენ სიკვდილის ბანაკებში და ეხმარებოდნენ მათ მოსასპობად განწირული ებრაელების ჩაყვანაში. ზუსტად ასევე უკრაინელი, ლიტველი, ლატვიელი, ესტონელი და სხვა ნაციონალისტები გულცივად ხვრეტდნენ თავიანთ „ღვიძლ ძმებს", რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და ჰიტლერელებსა და მათს დამქაშებს ებრძოდნენ.

რა თქმა უნდა, ჩვენს დროში ბურჟუაზიული ნაციონალისტები უფრო ფრთხილად მოქმედებენ, ვიდრე ჰიტლერული ტერორის დროს. მაგრამ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის არსი — მშრომელთა კლასობრივი შეგნების დაჩლუნგება კაპიტალის ბატონობის განსამტკიცებლად, ერთი ხალხის წასისიანება მეორისათვის — იგივე დარჩა. ოღონდ ახლა ეს ხდება არა ერთი ერის მასშტაბით, არამედ უფრო გლობალური მასშტაბით, ვინაიდან დღეს კლასობრივმა ბრძოლამ ახალი განზომილება შეიძინა: მის უმაღლეს ფორმად იქცა ორი სისტემის — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის ბრძოლა.

ნაციონალიზმი ასეთ პირობებში კიდევ უფრო საშიში ხდება. პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანისათვის ძნელია დაინახოს კლასობრივი მტრის ნამდვილი სახე, როცა იგი „ღვიძლ ძმობაზე" ან „საერთო კულტურულ ღირებულებებზე" მსჯელობს. ამ საშიშროებაზე ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1913 წელს მიუთითებდა „ყოველ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს უდიდესი გახრწნა შეაქვს მუშათა წრეში, იგი უდიდეს ზიანს აყენებს თავისუფლების საქმეს და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის საქმეს. ეს მით უფრო საშიშია, რომ ბურჟუაზიული (და ბურჟუაზიულ-ბატონყმური) ტენდენციის საფარად „ნაციონალური კულტურის" ლოზუნგი იხმარება. ნაციონალური კულტურის — ველიკორუსული, პოლონური, ებრაული, უკრაინული და სხვა კულტურის — სახელით აჰახრაკებენ თავიანთ რეაქციულ და ჭუჭყიან საქმეებს ყველა ერის შავრაზმელები და კლერიკალები, შემდეგ კი — ბურჟუებიც" (თხზ. ტ. 20, გვ. 8).

ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენიც ზრუნავენ „ეროვნულ კულტურაზე". ისინი ჩვენი ეროვნული რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა ყოველნაირ ნაწარმოებს, რომელიც თავისი ხალხის სიამაყით არის გამსჭვალული, ინტერნაციონალიზმს უპირისპირებენ. რეკლამას უწევენ მას, როგორც „პროტესტს რუსების ძალმომრეობის წინააღმდეგ" და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ „კეთილმოსურნეებს" საბჭოთა ხალხი ზიზღით უპასუხებს: ნაციონალიზმს, შოვინიზმსა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა გამოვლინებებს, აქტიურად რომ გვახვევენ თავს სხვადასხვაგვარი „ხმები", არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ (საქპრესი).

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● სანა

იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ა. სალეჰმა განკარგულება გასცა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სანის ბიუროს მიენიჭოს დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსი. ამის შესახებ გაზეთ „ას-საურას" კორესპონდენტს აცნობა იემენის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ პალესტინელი და ჩრდილო იემენელი ხალხების ძმური ურთიერთობა და ის, რომ იემენის არაბთა რესპუბლიკა მუდამ სოლიდარობას უწევს პალესტინელთა სამართლიან ბრძოლას თავიანთი კანონიერი უფლებებისათვის.

● მეხიკო

მეხიკოს დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტის საიმიგრაციო ხელისუფლებმა დააპატიმრეს ამერიკის ოკლაჰომის შტატიდან ჩამოსული ვინმე დ. ლენსლი ნარკოტიკების შემოტანისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული „წესრიგის დამცველის" ორმაგფსკერიან ჩემოდანში ხაბაკი მოხელეებმა აღმოაჩინეს 160 ათასი დოლარის კოკაინი. როგორც გამოძიებამ გამოარკვია, დ. ლენსლის უკვე მრავალჯერ შემოუტანია ნარკოტიკები მექსიკაში.

● ანკარა

სულ ცოტა 9 კაცი დაიღუპა კატასტროფის შედეგად, რომელიც სტამბოლისა და ადანის შემაერთებელ რკინიგზაზე მოხდა. ერთ-ერთ გასასვლელზე დიდი სიჩქარით მომავალი მატარებელი დაეჯახა ავტობუსს, რომელსაც ამომდებარე ქარხნის მუშები მიჰყავდა.

● ბრაზილია

რეიგანის ადმინისტრაციის მიერ სოციალისტური კუბის წინააღმდეგ გაჩაღებული მუქარისა და შანტაჟის კამპანია გულგრილი დაგვმა ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატმა ა. ზუზრამ. მან მოითხოვა კუბასა და ბრაზილიას შორის დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობათა მოწესრიგება, ვინაიდან საერთაშორისო მდგომარეობის ბევრ აქტუალურ საკითხში ამ ორი ქვეყნის თვალსაზრისი ერთმანეთს ემთხვევა.

სახელგანთქმული პარტიზანი

საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაქრაძის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

ხამამულო ომის მატიანეში არა ერთი ფურცელი ეთმობა კოვპაკის ლეგენდარულ პარტიზანულ შენაერთს, რომელმაც მტრის ზურგში ბრძოლით გაიარა ათიათას კილომეტრზე მეტი და ისე გაანადგურა ჰიტლერელთა ოცდაცხრამეტი გარნიზონი, რომ ყაჩაღთა ამ ბუდეებისაგან ამბის წამღებიც აღარ დატოვა; ამ ფიცხელ ბრძოლებში კოვპაკის უახლოესი თანამებრძოლი იყო პარტიზანული პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, რომელმაც თავისი სიმამაცითა და თავგანწირული შეუპოვრობით არაერთგზის უჩვენა მთელ ქვეყანას ქართველი მეომრის ქედუხრელობა, მისი ერთგულება პარტიისა და სამშობლოსადმი, მისი გაუტეხელი რწმენის ძალა.

კარგად არის ცნობილი, თუ რა განუზომელი, რაოდენ დიდი ამაგი დასდეს პარტიზანებმა საბჭოთა ხალხის, საბჭოთა არმიის გამარჯვების დიად საქმეს. მიმოიხილავდა რა სამხედრო ოპერაციების მსვლელობას იმ ოლქებში, სადაც კოვპაკის შენაერთი მოქმედებდა, ფაშისტური გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი ფ. ჰალდერი მოახსენებდა ჰიტლერს, რომ ფაშისტური ზურგი მთლიანად მოშალეს და დაარღვიეს პარტიზანებმა, და დამატებით თხოულობდა დივიზიების მოხსნას მოქმედი არმიიდან და ზურგში გადაგზავნას პარტიზანული მოძრაობის ჩასახშობად. ჩვენი დავითი პარტიზანთა ამ დიდი ბრძოლების მონაწილე, ხოლო შემდეგ შესანიშნავი მემატიანე იყო.

სამოცდაათი წლის წინათ, ხარაგოულის ახლოს, მთიან სოფელ ბორში დაიბადა დავით ბაქრაძე. მისი დაბადების თარიღს აღნიშნავს არა მარტო საქართველო, არამედ მოძმე უკრაინაც და ბელორუსიაც. მამაც მეომარს ამ რესპუბლიკების მიწა-წყალი მოვლილი აქვს ბრძოლით, იქაურ ქალაქებსა და სოფლებში დღესაც ახსოვთ მომღიმარე ვაჟკაცი, რომელიც ეფერებოდა ომისაგან ყველა დაჩაგრულსა და გაწამებულს, ხოლო ფაშისტებს რისხვასა და მეხს ატეხდა თავს; ახსოვთ დავით ბაქრაძის სახელი ორიოლშიც და ბრიანსკშიც, როვნოშიც და ჟიტომირშიც, კიევშიც და ჩერნიგოვშიც, ნოვგოროდ-ვოლინსკში და სტარაია გუტაშიც, დნეპრის სანაპიროებზე და კარპატების მთებშიც — ეს და კიდევ სხვა სახელები ხომ ასე ხშირად გვხვდება დავით ბაქრაძის წიგნებში — „გმირთა სისხლით“, „ლეგენდარული რეიდი“, „ძველი ბილიკებით“ და სხვ. ამ წიგნებმა ნათლად გადაუშალეს მკითხველს თვალწინ, როგორი ძმური ერთსულოვნებით იბრძოდნენ მხარდამხარ რუსი და ქართველი, უკრაინელი და ბელორუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი, ყველა მოძმე ხალხის შვილები მტრის ურდოებისაგან მშობლიური მიწა-წყლის განსათავისუფლებლად.

დავით ბაქრაძის თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის გმირი, ცნობილი მწერალი და კინორეჟისორი პეტრე ვერშიგორა თავის წიგნში „სუფთა სინდისის ადამიანები“ აგვიწერს, თუ როგორ მივიდა დავით ბაქრაძე პარტიზანებთან; ოცდათექვსმეტნი იყვნენ გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული, ჯოჯოხეთგამოვლილი ტყვეები, როცა ბრიანსკის უღრან ტყეში პარტიზანებს შეუერთდნენ. გამოქცეულებს მეთაურობდა არტილერიის მაიორი ანისიმოვი; ახლა სიტყვა თვითონ ვერშიგორას დავუთმოთ:

„გამოირჩეოდა მათ შორის მაღალი, ფართო მხარბეჭიანი ქართველი დავით ბაქრაძე. ომამდე იგი ინჟინერი იყო და არმიაში არტილერიის სერჟანტად მსახურობდა.

პარტიზანული შენაერთის მეთაურმა კოვპაკმა, რომელსაც იმ ხანებში მიღებული ჰქონდა ორი საპოლკო ქვემეხი, დიდი მიწოდან თვითმფრინავით რომ ჩამოიტანეს, თავისი არტილერიის უფროსად დანიშნა მაიორი ანისიმოვი. ბაქრაძე პირველ ხანებში ქვემეხის მეთაური იყო. დადიოდა იგი განიერი, დინჯი ნაბიჯებით; შენაერთის კომისარი რუდნევი აღტაცებით შესცქეროდა მის ბეჭებს და ფართო ვაჟკაცურ გულ-მკერდს, მხარზე ხელს უთათუნებდა და ეუბნებოდა:

— მაშ, დავით, შენ ამბობ, რომ კარგად გაეცანი გერმანელებს?

— ჰო, — უპასუხებდა ბაქრაძე, — ისე გავეცანი, მთელი სიცოცხლე მეხსომება, — და დავითი ჰყვებოდა მორიგ დაკითხვაზე, ტყვეობისას, როგორ ჩაიბურტყუნა რაღაც სს-ელმა და მთელი ძალით ჩაარტყა კონდახი სახეში, კბილები ცალ მხარეს ერთიანად ჩაულეწა.

— მაინც, რას გერჩოდა? — ეკითხებოდა კომისარი.

— მე თვითონ არ ვიცი, ძალზე ცუდად მესმის მათი ენა, მგონი იმისათვის გამარტყა, სტალინი თქვენებური იყო“.

მეორე ადგილას ვერშიგორას აღწერილი აქვს სახელდახელო ხიდის აგება მდინარე პრიპიატზე, მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ! იგი წერს, რომ ამ გააფთრებული ბრძოლის დროს გადამწყვეტი როლი შეასრულა ბაქრაძის ასეულმა, რომელიც „შთაგონებული იყო თავისი მეთაურის სიმამაცით“. და იცით რა არის აქ საინტერესო? იგივე ბრძოლა აღწერილი აქვს დავითსაც თავის წიგნში „გმირთა სისხლით“, მაგრამ აღწერილი აქვს ისე, რომ სრულიადაც არ გამოჰყოფს არც თავის თავს და არც თავის ასეულს. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ დავით ბაქრაძეს უჩვეულო სიმამაცესთან ერთად უჩვეულო თავმდაბლობაც ახასიათებდა.

ომიდან რომ დაბრუნდა, დავითმა უმალ მწერალთა კავშირს მიაშურა; ომის წლებში მას უამრავი შთაბეჭდილებები დაუგროვდა და უნდოდა მკითხველებისათვის გაეზიარებინა; ქართველმა მწერლებმა გულთბილად მიიღეს და მის წიგნებსაც გაუკაფეს გზა მკითხველისაკენ; მახსენდება ერთი იმდროინდელი შეხვედრა დავითთან: მის ბინაზე ვიყავით, საუბრის დროს დავითმა ერთი რაღაც უცნაური იარაღი გამოიტანა, ავტომატსა ჰგავდა, მაგრამ ვისაც შპაგინის ან დეგტერიოვის სისტემის ავტომატი ენახა, ანაც ნადავლი გერმანული ან ფინური წარმოებისა, ვერც ერთს ვერ მიამსგავსებდა. დავითმა ღიმილით აგვიხსნა, რომ ეს ავტომატი დამზადებულია არა სამხედრო ქარხანაში, არა უზუსტესი ინსტრუმენტების მეშვეობით, არამედ... ტყეში; ეს მართლაც საოცრება იყო, მაგრამ ნაწილ-ნაწილ შეკოწიწებული ეს უცნაური იარაღი მეტად მარჯვე ხელს ეჭირა და მარჯვედაც სცელავდა გასაცელავსა და სასიკვდილეს. ამჟამად ის ავტომატი კიევის მუზეუმში ინახება, როგორც უძვირფასესი რელიქვია.

1977 წლის დეკემბერში დავით ბაქრაძე გარდაიცვალა. მოულოდნელი და უცნაური იყო მისი სიკვდილი; იმ წელს, ზაფხულში, დავითი ლიკანში ისვენებდა; სანატორიუმის გრძელ ხეივანში დინჯად დადიოდა ეს გოლიათური აღნაგობის კაცი, და სადაც კი ჩამოჯდებოდა, იქ უმალ თავს იყრიდა დამსვენებელთა მთელი ჯგუფი; ყველას უნდოდა მასთან ახლოს ყოფნა, იყო ერთი სიცილი, ხუმრობა, ნაღვლიანი მოგონებები ომზე, გარდახდილ ბრძოლებზე — ჰყვებოდა დავითი იმათზე, ვინც ვერ მოესწრო გამარჯვების სიხარულს, და თუმცა იგი რამდენიმე წიგნის ავტორი იყო, ეტყობოდა, ყველაფერი ვერ ჩაეტია იმ წიგნებში. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ამ დევივით კაცისათვის ეს ზაფხული უკანასკნელი იყო.

რა რჩება კაცისაგან ტიალი სიკვდილის შემდეგ? კარგი კაცობა, კარგი სახელი, სიმამაცე და სიკეთე, ხსოვნა და სიყვარული. ყველაფერი ეს უხვად ჰქონდა მომადლებული დავით ბაქრაძეს და ყოველივე ამას სიკვდილი ვერ მოერევა.

გიორგი ნატროშვილი.

□ □

სურათზე: დ. ბაქრაძე. (გადაღებულია 1946 წელს).

ყაბახი

ფეხბურთის ამბები

ოცდამეოთხე ფინალისტი

გაირკვა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ნაწილის ბოლო, ოცდამეოთხე გუნდის ვინაობაც. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ახალი ზელანდიის გუნდმა დამატებითი შერჩევითი მატჩი მოუგო ჩინეთის ნაკრებს — 2:1. შეხვედრა გაიმართა სინგაპურში. ამრიგად, ახალზელანდიელები ესპანეთში ითამაშებენ.

„ლივერპული“ „ლივერპულია“!

ქართველ ფეხბურთის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი და თბილისის „დინამოს“ მომავალი მეტოქე სუპერთასისათვის ბრძოლაში ინგლისის „ლივერპული“ ამჟამად ვერ არის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. ამას სახელგანთქმული გუნდის უჩვეულო, მე-12 ადგილიც მოწმობს ინგლისის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში და „ლივერპულის“ ამასწინანდელი წაგებაც შინ „მანჩესტერ სიტისთან“ (1:3).

მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ ინგლისის ლიგის თასის გათამაშების მესამე წრეში „ლივერპულმა“ დაამტკიცა, რომ ადრეა მისი „ჩამოწერა“. იგი სტუმრად ხვდებოდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს უელსის „სუონსი სიტის“ და ყველასათვის მოულოდნელად ისე ძლიერად ითამაშა, როგორსაც მისი გულშემატკივრები მონატრებული იყვნენ. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მათ, როგორც იქნა, იხილეს ძველი, ნამდვილი „ლივერპული“, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში. თავი გამოიჩინა გუნდის ახალბედა თავდამსხმელმა 20 წლის იენ რაშმა, რომელმაც ორი გოლი გაიტანა (სხვათა შორის, რაში უელსელია და ამ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში თბილისში ითამაშა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ). მისმა თანაკლუბელებმა ჰანსენმა და ლორენსენმა რაშის ორ გოლს კიდევ ორი დაუმატეს და თავიანთი გუნდი გათამაშების მეოთხე წრეში გაიყვანეს — 4:0.

დ. კაკაბაძე.

სამი ლიდერი

მოსკოვში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ფიფას პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვ. გრანატკინის ხსოვნას. მესამე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი II-ბულგარეთი — 3:1, სსრ კავშირი I-იტალია — 4:0, ბრაზილია-გფრ — 1:1.

●

ფრე ჩემპიონთან

ბაქოსა და მინსკში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპი. თბილისის „დინამომ“, რომელიც ბაქოში ასპარეზობდა, მეოთხე ტურში დაამარცხა ლვოველ თანაკლუბელთა გუნდი — 5:4. შეჯიბრების ამ ეტაპის ბოლო დღეს თბილისელები შეხვდნენ შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებულ ალმა-ათის „დინამოს“ და ძლიერ მეტოქესთან ფრედ დაამთავრეს მატჩი — 5:5.

პირველი ეტაპის შემდეგ 9-9 ქულით ლიდერობენ მოსკოვის უნივერსიტეტის და მოსკოვის „დინამოს“ კოლექტივები. მომდევნო ადგილებზე არიან ალმა-ათის „დინამო“ — 8 ქულა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი და კიევის „დინამო“ — 7-7, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — 6, თბილისის „დინამო“ — 5, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი (სევასტოპოლი) — 3, ლვოვის „დინამო“, ტაშკენტის „მეხნათი“ და მინსკის ასკ — 2-2. მოსკოვის „მოსკვიჩს“ ჯერ ქულაც არ მიუღია.

ჭადრაკის დაფებთან

ჰასტინგსში (ინგლისი) მიმდინარე საახალწლო შეჯიბრების მეთერთმეტე ტურის პარტია საბჭოთა დიდოსტატმა ვ. კუპრეიჩიკმა მოუგო პ. ლიტლვუდს (დიდი ბრიტანეთი), ხოლო მეთორმეტე ტურში 16 წლის ინგლისელ ნაიჯელ შორტთან შეხვედრა წააგო. მიუხედავად ამისა, ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე კუპრეიჩიკს 8,5 ქულა აქვს და თითქმის გაინაღდა პირველობა. იგი თავის უახლოეს მდევრებს 1,5 ქულით უსწრებს. მისი დაწევის თეორიული შანსი მხოლოდ ვ. სმისლოვს აქვს. მას 6,5 ქულა და 2 პარტია აქვს სათამაშებელი.

მეორე საახალწლო ტურნირი, რომელიც პორცში (გფრ) მიმდინარეობდა, უკვე დამთავრდა. ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები მიხეილ ტალი და თამაზ გიორგაძე. პარტია ყაიმით დასრულდა. აქ პირველობა მოიპოვა ტალმა — 9 ქულა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ინგლისელმა ეტონი მაილსმა — 8,5 ქულა, ჩეხოსლოვაკიელმა ვლასტიმილ ჰორტმა — 8, თამაზ გიორგაძემ — 7,5 ქულა და ა. შ.

ქ. თბილისის № [illegible] ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982 წლის თებერვლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფეხსაცმლის ზედაპირის მკერავი;
2. ფეხსაცმლის მკერავი;
3. ზეინკალ-შემკეთებელი;
4. ფეხსაცმლის ინდივიდუალური მკერავი.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები; სწავლების ვადა ათი თვეა, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთათვის სწავლების ვადა შემცირებულია.

მოსწავლე გოგონები ძირითად სპეციალობასთან ერთად შეისწავლიან ქალის მსუბუქი კაბის კერვას და მდივან-მემანქანეობას.

ახალგაზრდები სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას — 70–77 მანეთს, გარდა ამისა საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან თბილისში ჩაწერით.

სწავლების პერიოდში წვევამდელებს ეძლევათ გადავადება.

სწავლების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ დიპლომი მინიჭებული სპეციალობის მიხედვით, სამუშაოდ გაიგზავნებიან წარმოებაში, სადაც საშუალო ხელფასი 180-დან 200 მანეთამდეა.

ისინი, ვინც სასწავლებელს დაამთავრებს წარჩინების დიპლომით, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას ისარგებლებს უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მედალოსნებისათვის.

სასწავლებელში სწავლა წარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე.

სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.

განცხადებას დირექტორის სახელზე თან უნდა დაერთოს: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, ავტობიოგრაფია, დახასიათება.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ პირადად: დაბადების მოწმობა (დედანი), პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა და კომკავშირის სააღრიცხვო ბარათი.

საბუთები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირისა.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 42. ტრანსპორტი: მეტროს სადგურ „ისნიდან“ — ტრამვაი № 7, ავტობუსი № 51; ლენინის მოედნიდან სამარშრუტო ტაქსი № 10, ავტობუსი № 16. ტელეფონი: 74-34-67.

სასწავლებლის დირექცია.

● ●

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი

აცხადებს კონკურსს საბავშვო საგუნდო სიმღერების შექმნისათვის (a capella და თანხლებით), კონკურსი ეძღვნება საბავშვო მუსიკის საკავშირო კვირეულს.

კონკურსში გამარჯვებული სიმღერების მუსიკოსთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 300 მანეთი;

ორი მეორე პრემია — 200 მანეთი;

სამი მესამე პრემია — 150 მანეთი.

ნაწარმოებები უნდა წარმოადგინოთ დევიზით საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმში (თბილისი, რუსთაველის პრ. № 22, მესამე სართული) 1982 წლის 15 თებერვლამდე.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი.

● ●

სამინისტროების, უწყებების, წარმოებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით მეორეული შავი და ფერადი ლითონების დამზადების (ჩაბარების) 1982 წლის დამტკიცებული გეგმის მიღებამდე იანვრის თვეში მეორეული შავი ლითონების დამზადების (ჩაბარების) გეგმის შესრულება უზრუნველყავით 1981 წლის დეკემბრის თვის გეგმის მიხედვით, ხოლო მეორეული ფერადი ლითონების ჩაბარება — 1981 წლის დეკემბრის თვის მიხედვით 1,75% მატებით.

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „ვტორჩერმეტი“.

საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „ვტორცვეტმეტი“.

გიწვევთ საკონკურსოდ

ძვირფასო მკითხველებო!

მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის დადგომისთანავე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ყველა იმ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც დასახულია ჩვენს წინაშე სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით.

იმისათვის, რომ უკეთ გაჩვენოთ გაზეთის ფურცლებზე ჩვენი მშრომელი ადამიანების — მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მშრომელების, ინჟინერ-ტექნიკოსების, ჩვენი ხალხური ინტელიგენციის შემოქმედებითი შემართება, გიამბობთ როგორ აღწევენ ისინი წარმატებებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგრეთვე ავსახოთ წვლილი, რომელიც საერთო სახალხო საქმეში შეაქვთ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების და კულტურის მუშაკებს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია 1982 წელს აცხადებს კონკურსს საუკეთესო ფოტოსურათისათვის.

რედაქცია არ ზღუდავს მკითხველებს თემის არჩევაში. თემები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ თემად, ისევე როგორც ჩვენ მიერ წინათ მოწყობილ ფოტოკონკურსებში, რჩება ჩვენი თანამედროვე, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა.

კონკურსზე შეიძლება გამოგზავნოთ აგრეთვე ჟანრული ფოტოსურათები, ჩვენი რესპუბლიკის პეიზაჟები.

ფოტოსურათები უნდა გამოიგზავნოს შავ-თეთრი ანაბეჭდების სახით, არანაკლებ 18X24 სმ ზომისა, პრიალა ქაღალდზე. უნდა დაურთოთ ახსნა-განმარტებითი ტექსტი. მოაწერეთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის მისამართი.

ნამუშევრების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1982 წლის 31 დეკემბერი.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

1. ერთი პირველი პრემია — 100 მანეთი;
2. ორი მეორე პრემია — თითოეული — 75 მანეთი;
3. სამი მესამე პრემია — თითოეული 50 მანეთი.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ჩვენი მისამართია: 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

ძვირფასო მკითხველებო! ველით თქვენგან ფოტოსურათებს კონკურსისათვის.

სოფელ ტამიშში

საექსპლოატაციოდ გადაეცა სოხუმის მაიმუნსაშენის ტამიშის ფილიალის პირველი რიგი

ადამიანის დაავადებათა შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრიმატებზე დაკვირვებებს. ბუნებრივ საცხოვრებელ ადგილებში მათი რიცხვის შემცირების გამო მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ზრუნავენ სამეცნიერო დაწესებულებებში პრიმატების — ამ უნიკალური საცდელი ცხოველების მოშენებაზე.

ზომიერი ორგანოების დადგენილებით კავკასიის შავიზღვისპირეთში მიმდინარეობს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალების მშენებლობა, რომელთა ვოლიერებში უკვე სადღეისოდ მოშენებულია 3.500-ზე მეტი მაიმუნი. შარშან ამოქმედდა ამ ინსტიტუტის ადლერის ფილიალი.

ამჯერად კიდევ ერთი ახალსახლობაა! ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში აიგო სპეციალიზებულ ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც სრული ამოქმედების შემდეგ 1600 საექსპერიმენტო პრიმატს დაიტევს. 1982 წლის მაისში დაჭაობებულ, სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარ მიწაზე — 30 ჰექტარ ფართობზე გაშენდება მეცნიერების პატარა ქალაქი 21 სახლითა და 42 ვოლიერით. უკვე აგებულია სასტუმრო კორპუსი, მომსახურე პერსონალისათვის გათვალისწინებული შენობა, ქვესადგური, საქვაბე, წყალშემკრები „სადგური, გაყვანილია კანალიზაცია, ორკილომეტრ-ნახევარი სიგრძის თანამედროვე წრიული გზა, აგრეთვე ცხრა „მაიმუნთა სახლი“ და 18 ვოლიერი.

ამ ობიექტების მშენებლობას აწარმოებს ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის № 676 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივი.

ინსტიტუტის ფილიალის პირველი რიგის დამთავრებას მიეძღვნა ტამიშში გამართული საზეიმო მიტინგი. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. სალიამ. მიტინგზე გამოვიდნენ მშენებლობის შტაბის უფროსი, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ქეცბაია, № 676 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი ქ. ცხომარია, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ბ. ლაპინი, სოხუმის მაიმუნსაშენის უფროსი მუშა ა. გერასიმოვა.

ინსტიტუტის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ გ. ერემიანმა მშენებლებს საპატიო სიგელები გადასცა.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

● ●

სურათებზე: სოხუმის მაიმუნსაშენის ტამიშის ფილიალის კომპლექსის სიმბოლურ გასაღებს იბარებს აკადემიკოსი ბ. ლაპინი; მაიმუნსაშენის ბინადრები.

შ. დგებუაძის ფოტო.

გვირაბი ლამანშის ქვეშ

ეს საინტერესოა

ახლახან დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის სამინისტროში განსახილველად წარადგინეს ლამანშის სრუტის ქვეშ გვირაბის გაყვანის ახალი პროექტი. ცნობილია, რომ ინგლისი ევროპის კონტინენტისაგან დაცილებულია ლამანშის სრუტით. ამ სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილის — პადე-კალეს სიგანე დაახლოებით 32 კილომეტრია.

წყლის ამ სივრცის გადალახვისა და ინგლისისა და საფრანგეთის სახმელეთო გზით დაკავშირების იდეა დიდი ხანია წარმოიშვა. გვირაბის მშენებლობის პრობლემა პირველად წამოიჭრა ჯერ კიდევ ნაპოლეონ I-ის დროს, როდესაც დილიჟანსი მგზავრების გადაყვანის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. 1802 წელს სამთო ინჟინერმა მატიემ იმპერატორს წარუდგინა ფოლკსტონსა (ინგლისი) და ბულონს (საფრანგეთი) შორის წყალქვეშა გვირაბის აგების პროექტი. იმავე წელს, ამიენის ზავის შემდეგ, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩარლზ ჯეიმს ფოქსი პარიზში ჩავიდა და ნაპოლეონისა და ფოქსის მსჯელობის საგანი კვლავ გახდა გვირაბის აგების საკითხი. საბოლოოდ ორივემ მოიწონა გვირაბის პროექტი. ნაპოლეონი ვარაუდობდა, რომ სრუტის ქვეშ გაყვანილი გვირაბი განათებული იქნებოდა ნავთის ლამპებით და ამ მანძილის გადალახვას ცხენებით იგი ოთხი საათის განმავლობაში შეძლებდა. მაგრამ თავდაჯერებულმა იმპერატორმა, როგორც ცნობილია, ცხენით რუსეთში გასეირნება ამჯობინა, რის შემდეგაც ლამანშისათვის აღარ ეცალა.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში ტომე დე გამონდმა დამატებითი გეოლოგიური გამოკვლევები განახორციელა, რის შედეგადაც შედგა გვირაბის ახალი პროექტი. იგი ითვალისწინებდა გვირაბის აგებას ცამეტი ხელოვნური კუნძულის საშუალებით, მაგრამ ამ პროექტსაც პოლიტიკური სიძნელეების წარმოშობის გამო იგივე ბედი ეწია. პროექტის განხორციელებაზე უარი თქვეს.

ინგლისისა და საფრანგეთის გვირაბით დაკავშირების ინიციატორები არასოდეს ხელს არ იღებდნენ ამ იდეის განხორციელებაზე. აღსანიშნავია, რომ გამონდმა 1856 წელს წარმოადგინა უჩვეულო პროექტი, რომლის თა[illegible] სრუტის ფსკერზე და[illegible]

გვირაბის აგების საკითხი 1881 წელს კვლავ წამოიჭრა, მაგრამ ინგლისი, რომელიც სტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, გვირაბის მშენებლობის სამუშაოების განგრძობის წინააღმდეგი აღმოჩნდა. ინგლისს იმ ხანებში საფრანგეთთან სახმელეთო გზით დაკავშირების არავითარი სურვილი არ ჰქონდა.

გვირაბის აგების საკითხი დღის წესრიგში კვლავ დადგა 1889 წელს, მაგრამ ინგლისელ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შეეშინდათ, რომ საფრანგეთი, თუ ომი ატყდებოდა, გვირაბს ადვილად გამოიყენებს ინგლისის ტერიტორიაზე მილიონიანი არმიის გადასასროლად, და, მაშასადამე, ინგლისის ფლოტი ხელს ვერ შეუშლის მოწინააღმდეგის სამხედრო ოპერაციებს.

გვირაბის აგებაზე უარყოფითი შეხედულება ჰქონდა ინგლისის სამხედრო უწყებას, რომლის აზრით, მოწინააღმდეგეს შეეძლო ხელში ჩაეგდო გვირაბი და დიდი საშიშროება შეექმნა სახელმწიფოსათვის. ამიტომ სამხედრო უწყება გვირაბის მშენებლობის ყველა პროექტს განუხილველს ტოვებდა.

ინგლის-საფრანგეთის ყველაზე ნათელი მეგობრობის პერიოდშიც კი, პირველი მსოფლიო ომის წინ, ინგლისი ყოველნაირად უარყოფდა გვირაბის აგების პროექტს. ლამანშის ქვეშ გვირაბის გაყვანის საკითხი კვლავ წამოიჭრა 1924 წელს და შემდეგ 1930 წელს, მაგრამ ორივეჯერ იგი უარყვეს ინგლისში საზღვაო რკინიგზების მფლობელებისა და სამხედრო წრეების ზეგავლენით.

სპეციალური კომისია, რომელსაც პროექტი ეკონომიკური თვალსაზრისით უნდა განეხილა, მთავრობის მიერ გვირაბის აგების დაფინანსების წინააღმდეგი იყო. ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად მოყვანილია მრავალი საზღვაო გზის არსებობა.

ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში კვლავ დაისვა გვირაბის აგების საკითხი, მაგრამ 1960 წლის 27 დეკემბერს გვირაბის აგების მომხრეებმა ძლიერი დარტყმა განიცადეს: საფრანგეთის ყოფილი მინისტრის ჟიულ მოკის თავმჯდომარეობით ამ დღეს შეიქმნა „ლამანშზე ხიდის მშენებლობის მომზადების საზოგადოება“. გვირაბის მშენებლობის პროექტში ამერიკულ კაპიტალსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

გვირაბის გაყვანა გათვალისწინებული იყო ინგლისის ნაპირიდან — ფოლკსტონსა და დუვრს შორის, ხოლო საფრანგეთის ნაპირიდან ქალაქ სანგატთან, კალეს ახლოს, ესე იგი იმავე ადგილებზე, სადაც დაახლოებით 105 წლის წინათ სრუტის ორივე მხრიდან გაყვანილი იყო ზემოაღნიშნული სიგრძის საცდელი გვირაბები.

ისევე, როგორც ადრინდელ პროექტებში, გვირაბის სიგრძე 52 კილომეტრს აღწევს; ამ ნაგებობის დიდი სიგრძე, სრუტის სიგანესთან შედარებით, აიხსნება ორივე ნაპირის დიდი სიმაღლით და აგრეთვე ინგლისის ნაპირის გეოლოგიური პირობების თავისებურებით, რაც გვირაბის გამოყვანას უშუალოდ სრუტის სიახლოვეს შეუძლებელს ხდის. გვირაბის წყალქვეშა ნაწილი სრუტის ორივე მხრიდან იწყება დაახლოებით 50 მეტრ სიღრმეზე, რომელიც ნაგებობის ტრასის შუა ნაწილში 105 მეტრს აღწევს. პროექტის მიხედვით, გვირაბის მშენებლობა 1970 წლის დამლევს უნდა დამთავრებულიყო.

ლამანშის სრუტის ფსკერქვეშ გვირაბის აგების ახლანდელი პროექტი მისი მშენებლობის ისტორიაში უკვე მეცხრეა. ვარაუდობენ, რომ პროექტი შეიძლება ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდეს, ამას საბოლოოდ ინგლის-საფრანგეთის კომისია მიმდინარე წლის დამლევს დაადგენს.

ა. დანდურაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ფოტოალბომში გაცოცხლებული ქუთაისი

უძველესი და მარად ახალგაზრდა ქუთაისი, მეორე, დედათბილისის შემდეგ, სამრეწველო და კულტურული ცენტრი საბჭოთა საქართველოსი, მუზა პოეტების, აკვანი დიდი რევოლუციური ტრადიციებისა... ასეთი ვიცით ეს ქალაქი, ასეთი წარმოგვიდგება იგი ფერად ფოტოალბომში „ქუთაისი“, რომელიც ეს-ეს არის მკითხველებს მიაწოდა მოსკოვის გამომცემლობა „პლანეტამ“.

ფოტოალბომის შემდგენელი და ტექსტის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი ვ. ლალიაშვილი. იგი ხატოვნად, ციფრებისა და ფაქტების მოშველიებით მოუთხრობს რუს მკითხველს მშობლიური ქალაქის წარსულსა და აწმყოზე, მიჩქეფარე ყოველდღიურობაზე...

მაგრამ ამ მშვენიერი ალბომის სიმდიდრე მაინც უამრავი ფოტომასალაა, რომელიც თითქოს მეგზურობას უწევს მკითხველს, რომ გულდასმით მოიაროს ქალაქი ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟიდან უკანასკნელ წლებამდე.

ფოტოები ეკუთვნით პ. ლუციენკოსა და ა. ლიბერმანს, მხატვარია ა. ფაცხვერია.

მეგობარს არ ივიწყებენ

ცაგერი. (საკ. კორ.). რაიონის მკვიდრმა ია რატიანმა სულ სამი წელი იმუშავა ვანის კაპრონის ფაბრიკაში. იგი 21 წლისა იყო, როცა ჯანმრთელობა დაკარგა და შვიდი წელია სარეცელს არის მიჯაჭვული.

მშობლიური საწარმო, მეგობრები არ ივიწყებენ ლოგინზე მიჯაჭვულ გოგონას, მასთან ამხანაგობენ, წერენ წერილებს.

ამას წინათ რატიანების ჭიშკართან ავტობუსი გაჩერდა. ვანის რაიონის კაპრონის ფაბრიკის დირექტორი ჟენია ძაგნიძე და მქსოველი ქალიშვილები ავადმყოფს ეწვივნენ.

სტუმრებმა საჩუქრები მოუტანეს ია რატიანს და თან სასიხარულო ამბავიც აცნობეს — უთხრეს, რომ იგი არჩეულია ფაბრიკის საპატიო წევრად და მქსოველთა ერთ-ერთ ბრიგადაში ჩარიცხეს.

სოფლის სიახლენი

ლამაზი და კეთილმოწყობილია სოფელი მეორე სვირი. მცხოვრებთა რაოდენობით და ეკონომიკით იგი პირველია ზესტაფონის რაიონში.

აქაური მოსწავლე ახალგაზრდობის განკარგულებაშია ორი საშუალო, ერთი რვაწლიანი სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ოთხი ბიბლიოთეკა, ორი კლუბი, ორი სტაციონარული კინოდანადგარი...

ახლახან კიდევ ერთ ახალ შენობას დაელოცა ჭერი. სოფლის ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ადმინისტრაციული სახლი. ახალი შენობის პირველი სართული დათმობილი აქვს საფოსტო განყოფილებას, შემნახველ სალაროს და ბიბლიოთეკას, ხოლო მეორე სართულზე მოთავსებულია სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

ე. პვინიკაძე,
სასოფლო კლუბის გამგე.

რედაქტორი
გ. ზედინეიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.

380096, თბილისი-96.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 93-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 93-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09020 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ტელევიზია

12 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჭაობის მდუმარებაში“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალი-ბეკის ჯიგიტები“, 11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ პირველი სერია (მ.), 12.40 — უკრავს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი რუსუდან ხუნწარია (მ.), 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 13.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — სპარტაკ ბაღაშვილი, 14.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღარბი“, 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — ბავშვებისათვის — „თოჯინის დაბადების დღე“, 18.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 18.45 — კინონარკვევი, 19.00 — ახალგაზრდობისათვის — ლიტერატურული გადაცემა „დაბრუნება“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „რედაქციაში წერილი მოვიდა“, 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ მეორე სერია. (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა საახალწლო შეხვედრა „ივერიასთან“ (გამეორებით), 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „დათუნია კოსმოსში“.